საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 22 მაისი. 2019 წ. №101 (8767) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ამომრჩევლის მოტყუება-გაცუცურაკება მიშნაცების ხელწერაა... ③

სანდრა რულოვსის კანდიდატურას არ ეთანხმებოდა „ნაცმოძრაობის“ დიდი ნაწილი, მაგრამ წინააღმდეგობა ვერ გაბედეს

მზის პანელების ④ ქარხანა – ქუთაისში

მალე აქ პირველი ქართული ელექტრომობილების წარმოებაც დაიწყება!

„რუსული პიარმანქანა მუშაობს იქ, სადაც მას წინააღმდეგობა არ ხვდება“ ⑧



სჭირდება თუ არა საქართველოს ნეიტრალიტეტი? ⑥

როცა გარეული მდედრი შინაურ მამრს ურქენს

ზოგიერთ სისხლით ხორცამდე განაცებულ ზუგდიდელს რომ უთხრა, რას იტყვი, სამეგრელოს სანდრალანდი რომ დავარქვათო, შეხტება და იქნებ გადაგეხვიოს კიდეც, შენ აგაშენა ღმერთმა, ეგ რა საუკეთესო რამ მითხარიო, ევროპაში აყვავებული ჰოლანდია იქნება, კავკასიაში კი ასაყვავებელი სანდრალანდიო, რომელსაც სააკაანთ და ალასანიების რძალი, იმედია, მალე გააჰოლანდიავებსო. ამას აკი თავადვე ამბობდა, უფრო სწორად, თავადვე თქვა 19 მაისს ზუგდიდში, როცა გაჰოლანდიელების არმოსურნე ზუგდიდელნი, საბედნიეროდ, ჯერაც ძველკოლხური მჩქეფარე სისხლის ყივილს ვერა და ვერ მოერივნენ საგანგებოდ საყველპურო მეგრულით შეიარაღებული უცხო დამპყრობელი მდედრის სასარგებლოდ.

ვინც იმ დღეს, 19 მაისს, თვითონ ზუგდიდში ანდა ტელევიზორის ეკრანს უყურა, თუნდაც „ცრუსთავი-2“-ს, შეუძლებელია, რომ თვალებისთვის თუ ყურებისთვის დაეჯერებინა, რასაც ხედავდა და რაც ესმოდა. როგორ შეიძლება, რომ ადამიანმა, მარტო მკვიდრმა ზუგდიდელმა კი არა, საერთოდ, ადამიანმა, იგულმავიწყოს ის უტიფრობა და თავხედობა, ნაციონალთა მხრიდან და, კერძოდ, ამ გაკაპარჩხანებული, აშკარად მოსარჯულებელი პატარძლისგან რომ ხდებოდა თითქმის დედამიწასთან ერთად გაჩენილ ეგრისის მიწა-წყალზე.

რასაკვირველია, გახსოვთ, როგორც საარჩევნო მარცხისგან გონდაკარგული რულოვსის ქალი იქცეოდა კოლხური მაისის იმ საამო საღამოს. თქვენ მე ჯერაც არ მიცნობთო, ხოლო რომ გამიცნობთ, მერე უკვე გვიან იქნებაო. მე კარგიც შემიძლია, მაგრამ კიდევ უფრო ბევრად ცუდის ქმნა მეხერხებაო, თუ კორუმპირებული შენგელია დამამჯობინეს, გაზულუქებულ ოლიგარქ ივანიშვილს ჩემზე უფრო დიდი მტერი არც ახლა ჰყავს და, მით უმეტეს, არც ამის მერე ეყოლებაო. ფოლადის ქალამნებს ჩავიცვამ, მთელ საქართველოს სულ ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ, ქუჩა-ქუჩა დავივლი, მთელ ქვეყანას ფეხზე დავაყენებ და მაგ ვიღაც გადამთიელ ივანიშვილს სულ თავზე დავამხობინებ აჯანყებულ ქართველ ხალხს ნაარმევად აშენებულ შუშის სასახლესო. მაგას ცოცხალი თავით საქართველოში არ ვაბოგინებო... და ამ დროს „ცრუსთავი-2“-ის ეკრანიდან მაწანწალა ქმრის – გაფითრებული სააკაანთ ბიჭის ხრინწიანი ხმა ისმის – მიდი, სანდრა, მე მომწონს შენი ჰოლანდიური რიხი, როგორც კი ხელკომბლიანი აჯანყებულებით შუშის სასახლისკენ დაიძვრები, მეც ეგრევე შემოგიერთდებიო. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოვძირკვოთ მაგ წურბელა ოლიგარქის ძირი და ფესვიო...

და ძალით გარაინდებული მაწანწალა ქმრის შეძახილით გულმოცემული სანდრიკუნა, როგორც ამბობენ, ჯორცხენაზე ამხედრებული (ეგლა აკლია, ფეხით იაროს!), უკვე დაიძრა, რათა საქართველოდან კუდი ამოაძუებინოს ხალხის სისხლისმწოველ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც ხე არ დატოვა საქართველოში ფეხაუდგმელი.

ძირს ივანიშვილი, საქართველო ჩემი და ჩემი ქმრისაა, ჩემი ედუარდისაა (ჰოლანდიელი პაპის სეხნიასი) და ნიკოლოზისაა (ქართველი პაპის სეხნიასი) და, რასაკვირველია, ჩემი დედამთილისაა – პროფესორ გიული ალასანიასი.

ერთხელ და სამუდამოდ გაიგეთ, რომ საქართველო ჩვენია, ჩვენიო – გაჰყვირის გზადაგზა ჰოლანდიელი მოძალადე პატარძალი, რომლისთვისაც საქართველო თურმე სულაც არ ეკუთვნით ქართველთ, არც ღარიბებსა და, მით უმეტეს, არც მდიდრებს.

ᲐᲑᲐ, ᲰᲔ, ᲡᲐᲜᲓᲠᲘᲙᲣᲜᲐ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲰᲔᲑᲔᲚᲡᲐ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲐᲓ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲨᲔᲜᲡ ᲓᲣᲚᲪᲘᲜᲔᲝᲑᲐᲡ, ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲡᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ

პრეზიდენტმა შუალედური არჩევნები დემოკრატიულად შეაფასა

საქართველოს პრეზიდენტი 19 მაისის შუალედურ არჩევნებს დემოკრატიულად აფასებს. ამის შესახებ განცხადება პრეზიდენტის პრესსპიკერმა ხატია მოისწრაფიშვილმა გააკეთა.

„საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, შუალედური არჩევნები საქართველოში შედგა. საარჩევნო გარემო იყო საკმაოდ მშვიდობიანი და დემოკრატიული. მისივე აზრით, რა თქმა უნდა, არჩევნების პროცესში იყო ცალკეული ხარვეზები და დარღვევები, რაც, რა თქმა უნდა, არსებით გავლენას არ ახდენს არჩევნების შედეგებზე, თუმცა, მეორე მხრივ, აუცილებელია, მოხდეს თითოეული ამ ფაქტის შესწავლა და გაანალიზება.“

სააკაშვილის მესამე ადგილი უკვე ზღაპარია!

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე NDI-ის კვლევის შედეგებს გამოეხმაურა. კობახიძეს არ სჯერა კვლევის შედეგების იმ ნაწილის, სადაც საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის რეიტინგი ისევ მაღალია და ხალხი მის მიმართ დადებით შეფასებას აფიქსირებს. როგორც უმაღლესი კანონმდებელი მიიჩნევს, მთავარი სოციოლოგიური გამოკითხვა არჩევნებია და, როგორც ის ამბობს, 19 მაისის შედეგების თანახმად საზოგადოებაში „ქართული ოცნება“ ლიდერობს.

„ამ არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო ამომრჩევლის 61% მხარდაჭერა. ყოველთვის არის ხოლმე აცდენილი გარკვეული რეიტინგები არჩევნების შედეგებზე. ამას რა მიზეზი აქვს, არ ვიცი. ფაქტი არის ერთი, მთავარი სოციოლოგიური კვლევის თანახმად, არჩევნების თანახმად, „ქართულ ოცნებას“ აქვს 61%-იანი მხარდაჭერა. ამ შემთხვევაში 12%-მა დაადასტურა „ქართული ოცნების“ მიმართ ძალიან მაღალი მხარდაჭერა. რაც შეეხება პოლიტიკოსების რეიტინგებს, სააკაშვილის მესამე ადგილი არის უკვე ზღაპარი. ეს კარგად იხილეთ ამ არჩევნებში. პასუხი გაეცა მიხეილ სააკაშვილს მკაფიოდ. მისი მეუღლე იღებდა ზუგდიდში არჩევნებში მონაწილეობას, დაფიქსირდა მოსახლეობის განწყობა. 43% არ იყო ამ კუთხით გასაკვირი, თუმცა ვხედავთ, რომ უკვე რღვევის პირას არის ეს პარტია და მათთვის 43% შეიძლება გახდეს საოცნებო, რაც მიიღეს ზუგდიდში,“ — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

არ შეიძლება ყველა არჩევნებზე ფუჭი დამუქრება!

ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე აცხადებს, რომ მოსახლეობაში არ არსებობს ისეთი პროტესტის მუხტი, რომელიც გაანეიტრალებს მთავრობასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის არსებული ადმინისტრაციული რესურსების სხვაობას. მისივე თქმით, არჩევნების გაყალბებას ადგილი არ ჰქონია და მმართველ გუნდს სულაც არ გააჩნია არჩევნების გაყალბების საჭიროება.

„ის, რაც ნიკა მელიამ თქვა, რომ არ შეიძლება დაანონსება რევოლუციის და შემდეგ საკუთარი მომხრეების „გადაგდება“, გასათვალისწინებელი პრობლემაა. არ შეიძლება ყოველი არჩევნების წინ დამუქრება და მერე ფაქტის წინაშე ხალხის დაყენება, რომ ამ მუქარის უკან არაფერი დგას, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში რევოლუციის რეალური მუხტი და დაძაბულობა არ არსებობს. შეიძლება, ვიღაცას ეს უნდა, მაგრამ ჯერჯერობით ეს ასე არ არის და მოსახლეობას, როგორც ასეთი, რევოლუცია უფრო აშინებს, ვიდრე „ოცნების“ მთავრობის ქვეშ დარჩენა“.

დედოლარიზაცია გვიშველისო, მინისტრმა!

ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა კომენტარი გააკეთა. მინისტრის თქმით, ლარის კურსის ცვლილებას თურქეთში მიმდინარე მოვლენებს უკავშირებს.

„თუ შეხედავთ, საგარეო ფაქტორებია. ერთ-ერთი განმაპირობებელი თურქეთის ფაქტორია. ზუსტად ამიტომ ერთ წელზე მეტია, ვსაუბრობთ დედოლარიზაციაზე, რომ ნაკლებად ვიყოთ დამოკიდებული დოლარზე, ნაკლებად იყოს დამოკიდებული ჩვენი მოსახლეობა უცხოურ ვალუტაზე. პარლამენტშიც იყო ცხარე დებატები, როდესაც ჩვენ ვთქვით, რომ შეზღუდვები დავაწესეთ იპოთეკურ სესხებზე დოლარში“, — განაცხადა მინისტრმა.

ზუგდიდში ღირსებამ და გონიერებამ გაიმარჯვა

თითქმის 2-თვიანი დაძაბული ვითარების შემდეგ, ზუგდიდი ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმს დაუბრუნდა. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, იმათ, ვისაც ღირსება, წესიერება და პატიოსნება თავიანთი ცხოვრების განმსაზღვრელად მიაჩნდათ და მიაჩნიათ, სულ ფიქრობდნენ, განიცდიდნენ, „ნუთუ ზუგდიდელები ისე გათახსირდებიან, რომ მერად უცხო ტომელ მანქურთს აირჩევენ?“ მადლობა უფალს, ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო!



ერთ-ერთმა გავლენიანმა „ნაცმა“ განაცხადა ტელევიზიით: **„ამ გეგა შენგელიას შესახებ ვერაფერი გავარკვიე, გარდა იმისა, რომ ამბობენ, კარგი ოჯახის შვილი და წესიერი პიროვნებაა“.** ამ კატეგორიის ადამიანებისათვის კარგი ოჯახის შვილობა და წესიერება არაფერს არ ნიშნავს, მათთვის მხოლოდ სანდრა რულოვსისნაირი ნაცისტური ცნობიერების პიროვნებებია უფრო მისაღები. ზუგდიდელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სწორედ ზუგდიდელობამ, კარგი ოჯახის შვილობამ და წესიერებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი გეგა შენგელიას მერად არჩევაში და ზუგდიდისთვის ღირსების დამკვიდრება-შენარჩუნებაში.

ზუგდიდელებთან ერთად ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს ქალაქსა და სოფლებში განთავსებულ დევნილებს. როგორც იქნა, მათ დაძლიეს ვიწრო პარტიული განწყობები და უპირატესობა ღირსებასა და წესიერებას მიანიჭეს. ზუგდიდის 90-ე საარჩევნო უბანში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ ახალრაიონად წოდებულ ბინებში ჩასახლებული დევნილები, არასოდეს გაუმარჯვია ამჟამინდელ ხელისუფლებას. მხოლოდ ახლა, როდესაც დადგა არჩევანი ზნეობასა და უზნეობას შორის, დევნილებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, მიიღეს და დაამარცხეს უზნეობა! თანაც, ეს გამარჯვება დაემთხვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, მთავრობასა და მის წარმომადგენლობაში ახალი ხელმძღვანელების მოსვლას.

მიუხედავად იმისა, რომ ნაცები და მათი პანდორას ყუთი „რუსთავი-2“ შერეკილი მიშას დაკრულზე ცეკვავდნენ და უკადრებელს კადრულობდნენ, თამამად შეიძლება ითქვას, ეს იყო სამართლიანი არჩევნები ყოველგვარი გაყალბების გარეშე. ასე, რომ ზუგდიდელებმა და აქ განთავსებულმა დევნილებმა გაამარჯვებინეს ღირსებას, გონიერებას და ზუგდიდი და სრულიად საქართველო დაპირისპირებასა და შუღლს აცდინეს.

ლადო ქირია,
ჩვენი საკ. კორ.
ზუგდიდი

ნაცბოზბანდის „ახალი ქართველები“ ტელესივრცეებს იპყრობენ!

დასაფიქრებლად და დასახმარებლად!

მთავრობის 2019-2020-ის სამოქმედო პროგრამა ამბიციურია, ხოლო ერთიანი იდეა განათლებაზე — საუკუნის პროექტი, რისი მსგავსიც ბოლო 30 წლის განმავლობაში ქვეყანას არ ჰქონია...

სამთავრობო პროგრამის ძირითადი მიმართულება ინფრასტრუქტურის განვითარებაა, რაც აუცილებელი საჭიროებით არის ნაკარნახევი, ვინაიდან მთელი რიგი მიმართულებები (გზა, ხიდები, წყალმომარაგება, ენერგორესურსები და ა.შ.) ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს... **„ძლიერი რეგიონი ძლიერი ქვეყანაა!“** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და მართალიცაა, თუმცა, გვაქვს სერიოზული აცდენა მმართველობაში:

1. რეგიონის რწმუნებულები (გუბერნატორები) შეკვეცილი უფლებებით და, შესაბამისად, პასუხიმგებლობიდან დაცლილები არიან!

2. გამგეობები (გამგებლები), საკრებულოები გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ჩამოკიდებულნი არიან ცენტრალურ ხელისუფლებაზე!

ეფექტური შედეგის მისაღებად გარდაუვალია მმართველობის დეცენტრალიზაცია (საუცხოო მაგალითი აღ-

ვალერიან გორგილაძე:

ამომრჩევლის მოტყუება-გაცუცურაკება მიშნაცების ხელწერაა...

სანდრა რულოვსის კანდიდატურას არ ეთანხმებოდა „ნაცმოძრაობის“ დიდი ნაწილი, მაგრამ წინააღმდეგობა ვერ გაბედეს

„ნიკა მელიამ მშვენივრად იცის, რომ პარტიაში გადაწყვეტილებას ერთი კაცი იღებს და ეს არის მიხეილ სააკაშვილი. რულოვსის კანდიდატურას არ ეთანხმებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს დიდი ნაწილი, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაუბედეს სააკაშვილს და ვერ დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია“, –აცხადებს სოციოლოგი ვალერიან გორგილაძე და თვლის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რღვევის პროცესი გაგრძელდება.

ვალერიან გორგილაძე დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია

— პროცესების რადიკალიზაცია — ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერშიფის მოწოდება. რადიკალიზაციას ითხოვს ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც „ნაცმოძრაობის“ გარშემოა გაერთიანებული. როგორ ფიქრობთ, რამდენად აქვს ამის რესურსი ოპოზიციურ პარტიას დღეს?

ვალერიან გორგილაძე: მათ აქვთ უფლება, ილაპარაკონ რადიკალიზაციაზე, მაგრამ მათ არა აქვთ უფლება, დაარღვიონ კანონი. ნებისმიერი პოლიტიკური აქტივობა, თუ იქნება ლეგალური, კანონის ჩარჩოში, ეს მათი უფლებაა. სხვა საქმეა, რომ რევოლუციური განწყობა არ არის. ე.წ. რადიკალიზაციის მომხრეები თავად „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ არ არიან.

გარკვეული აზრთა სხვაობა არის ტაქტიკურ სვლასთან დაკავშირებით — მოახდინონ თუ არა რადიკალიზაცია, და თუ უნდა მოახდინონ, მაშინ როდის? ეს თვალნათლივ გამოჩნდა გუშინ და გუშინწინ, როდესაც მელიას განცხადებები წინააღმდეგობაში მოდიოდა სააკაშვილის განცხადებებთან. ნაკლებად საინტერესოა, რა განცხადებას გააკეთებენ „ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტები, ვინაიდან ამ სატელიტებს სუბიექტობა არ გააჩნიათ. მათ არ გააჩნიათ არც დამოუკიდებელი ნება, არც რეიტინგი და არც პოლიტიკური რეპუტაცია.

— აქიდან გამომდინარე, როგორი სცენარით ელოდებით პროცესების განვითარებას?

— საინტერესო იქნება, როგორ განვითარდება მოვლენები „ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით და რა პოზიციას დაიკავებენ მსხვილი ოპოზიციური პარტიები, როგორიც არის, მაგალითად, „ევროპული საქართველო“. რა თქმა უნდა, რევოლუციური განწყობა არ არის. ჩემი აზრით, ოპოზიცია კარგავს ადეკვატურობას და იმ ფონზე, რომ მათი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი საერთოდ მოწყვეტილია რეალობას (ეს გასაგებია, რამდენიმე წელია, ემიგრაციაში იმყოფება), გაკვირვებას იწვევს ის, რომ მისი პოლიტიკური პარტია და მომხრეების ნაწილი, კვლავ უჯერებს და კვლავ მიჰყვება იმ გზაზე, რომელიც უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში მთავრდება ფიასკოთი.

— პროცესების რადიკალიზაციაზე მოწოდება ბოლო პერიოდში ხშირად გვესმის და, თითქოს შევეჩვიეთ კიდეც, მაგრამ როგორ ფიქრობთ, ეს მოწოდება არ ითხოვს შესაბამის სამართლებრივ რეაგირებას?

— ბუნებრივია, და არც სჭირდება შეხსენება სამართალდამცავ სტრუქტურებს, რა უნდა გააკეთონ. ზუგდიდში მშვიდობით ჩატარდა არჩევნები, ბევრი აღშფოთებით და წუხილით ელოდებოდა მოლენების განვითარებას, მაგრამ ყველამ დაინახა, რომ პოლიციამ უზრუნველყო როგორც მშვიდობიანი გარემო, ასევე მოსახლეობის და სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების უსაფრთხოება ამ არჩევნებზე. ამდენად, დარწმუნებული ვარ, რომ შესაბამისი სტრუქტურები თვალყურს ადევნებენ და არ დაუშვებენ მარგინალური ოპოზიციის მხრიდან არა რადიკალიზაციას, არამედ კანონის დარღვევას და შესაძლო დესტაბილიზაციის მცდელობას ქვეყანაში.

— „ყველა ის გუნდი, სადაც ხდება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შეუთანხმებლად, არის განწირული მარცხისთვის“, — ნიკა მელიას ამ განცხადების შემდეგ, ელოდებით, რომ დაიწყება „ნაციონალური მოძრაობის“დაშლის პროცესი? „გირჩის“ და „ევროპული საქართველოს“ შემდეგ, რა ნაწილი შეიძლება კიდევ გავიდეს ამ სახით არსებული „ნაციონალური მოძრაობიდან“?

— ფრაზა — „გაერთიანებამ უნდა გადაწყვიტოს“ — თვალთმაქცობაა. მელიამ მშვენივრად იცის, რომ პარტიაში გადაწყვეტილება მიიღება ერთი კაცის მიერ და ეს არის მიხეილ სააკაშვილი. ის, რომ სანდრა რულოვსი იქნა დასახელებული, ესეც სააკაშვილის გადაწყვეტილება იყო, რომელსაც არ ეთანხმებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს დიდი ნაწილი, მაგრამ ვერ გაუბედეს და ვერ გამოხატეს თავიანთი პოზიცია.

ამდენად, იმ პოლიტიკური ფიგურების მხრიდან, რომლებსაც ჰგონიათ, რომ შეიძლება გაჩნდეს ელექტორატი, ან პოლიტიკური პერსპექტივა, შეიძლება, ვიხილოთ მიგრაციის გაგრძელება, რომელიც დაიწყო ზურაბ ჯაფარიძის გასვლით და რომელსაც მიჰყვა გიგა ბოკერიას და სერგო რატიანის ჯგუფის წასვლა. დაშლის პროცესი ბუნებრივიც არის და არ არის გამორიცხული, რომ რაღაცა ჯგუფმა დატოვოს „ნაცმოძრაობის“ რიგები, თუკი არ მოხდა შეთანხმება, ან მიხეილ სააკაშვილმა ვერ გამონახა რამე ბერკეტი, რომ აიძულოს „ნაცმოძრაობაში“ არსებული „დისიდენტები“ მიიღონ პერმანენტულად წარუმატებელი ტაქტიკა, რომელსაც სააკაშვილი თავს ახვევს თავის პოლიტიკურ პარტიას — ფუჭი მოლოდინების შექმნა, ამომრჩევლის რეგულარული მოტყუება, რომ ჩამოდის და ვერ ჩამოდის, მუდმივი დაპირება გამარჯვებაზე და მერე მარცხის შემდეგ ისტერიები, რომ არჩევნები არის გაყალბებული — ამომრჩეველს, რომელსაც გააჩნია ადეკვატური აღქმის უნარი იმ ვითარების, რომელიც იქმნება ქვეყანაში, რა თქმა უნდა, მობეზრდება.

— პროცესები, რომელიც ახლა „ნაციონალური მოძრაობის“ გარშემო ვითარდება, რამდენად საყურადღებოა „ქართული ოცნებისთვის“, რომელსაც იგივე რეალობა აქვს პარტიაში, ანუ ამ პარტიაშიც არის დაპირისპირება, რაც გახდა „ოცნების“ დაშლის მიზეზი. „ნაცმოძრაობის“ დაშლა ზეიმის საფუძველი არ უნდა იყოს „ოცნებისთვის“...

— რომელიმე პარტიის დაშლა რატომ უნდა იყოს ზეიმის საფუძველი რომელიმე პოლიტიკური პარტიისთვის? ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე სხვა კონკურენტი პარტია შეიძენს ამით რამეს, ეს უფრო იმაზე მეტყველებს, რომ კიდევ უფრო ფართოვდება ეს პალიტრა ოპოზიციურ სპექტრში და ეს მეტყველებს იმაზე, რომ გარკვეული ნაწილი ოპოზიციონერებისა, როგორც ჩანს, გვიან, მაგრამ აკეთებენ შესაბამის დასკვნებს. მოწოდებები რადიკალიზაციისკენ, ეს საჭიროა და კომიკური ძახილი პირსისხლიანი რეჟიმის შესახებ, რომელიც ტოტალურად არღვევს ამომრჩევლის უფლებებს, არაფრის მომტანი არ არის ამ პოლიტიკური ძალებისთვის და მით უფრო არ არის ეფექტიანი გზა, რომლის მეშვეობით შეიძლება „ოცნების“ დამარცხება. ამდენად, ეს უნდა განვიხილოთ როგორც გარკვეული ეტაპი, როდესაც ოპოზიციის გარკვეული ნაწილის მიერ ხდება ადეკვატური შეფასება მიმდინარე პროცესების და სხვა არაფერი.

„ოცნებისთვის“ კი სხვა ამოცანებია, ეს არის გაძლიერება თავისი პოლიტიკური პარტიის, ახალი რესურსის მოძებნა, კვალიფიციური კომპეტენტური და ახალი პოზიტიური ამოცანის შეთავაზება თავისი ამომრჩევლისთვის და ბოლომდე მიყვანა იმ პროექტებისა, რომელიც მრავლად არსებობს, რომელიც უკვე ჩაშვებულია და რომელიც ხორციელდება.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

P. S. 2012 წლიდან პოლიტიკაში ლუსტრაცია განხორციელდა 80%-ით, უსისხლოდ, კანონის მიღების გარეშე, თანმიმდევრულად, სახეზე ნიღბის ჩამოხსნით. აუცილებელია დროულად აღმასრულებელი ხელისუფლების განშტოებებში და ქვეყნისთვის სტრატეგიულ კომპანიებში ჩაბუდებული „საბოტაჟნიკების“ ლუსტრაცია!

სოსო ვაშაკიძე

მოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან არის — პოლონეთი). ინფრასტრუქტურული პროექტების შესასრულებლად, შედეგზე და ხარისხზე ორიენტირებული უნდა იყვნენ ადგილობრივი მმართველობები (რეგიონი, ქალაქი, სოფელი). გამოკვეთილი ლიდერები ადგილობრივ ხელისუფლებაში, პასუხისმგებლობისა და მოტივაციის გარეშე ცენტრალური ხელისუფლებიდან რჩებიან ჟამთააღმწერლებად. 21-ე საუკუნის წარმატებების ძირითადი პრინციპი ყველა სფეროში დასაქმებულის სწორი მოტივაციაა, ხოლო ხელისუფლების — ინფრასტრუქტურის განვითარება ადგილობრივი მმართველობების დეცენტრალიზაციით. ეს ორი ინსტიტუტი ქვეყნის მასშტაბით იძლევა 50%-იან კეთილ განწყობას ცენტრალური ხელისუფლებისადმი.

ადრეც დავწერე და ისევ გავიმეორებ: მართვა ხელოვნებაა, ადამიანებთან ურთიერთობა შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული. შეცდომაა და დამაზიანებელი ხელისუფლებისთვის გამგებლების მმართველი პარტიის თავმჯდომარეობა, ისინი სამეურნეო და ყოფითი პრობლემებით უნდა დაკავდნენ ადგილებზე, ხოლო პარტიას უნდა უხელმძღვანელოს ადგილობრივმა ავტორიტეტულმა პიროვნებებმა. „ავტორიტეტი“, რომელიც აშენებდა ნაცბოზბანდას, განადგურებული იქნა მათ მიერ და ჰქონდა მცდელობა „ახალი ქართველის“ შექმნისა. ნაწილობრივ შეძლეს კიდეც: ისინი იპყრობენ ტელესივრცეებს, ტრიბუნებს... პუბლიცისტკები, მოტივტივე „ვეზდეხოდი-ხუხა“ ექსპერტები... არ ჩანან ავტორიტეტული პიროვნებები მართვის სისტემაში, არც კომპანიებში. ადამიანობა კემბრიჯში არ ისწავლება — ის, როგორც სინდისი, ან გაქვს, ან — არა.

მზის პანელების ქარხანა – ქუთაისში

მალე აქ პირველი ქართული ელექტრომობილების წარმოებაც დაიწყება!

ჩვენთვის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ქუთაისში მზის პანელების ქარხნის გახსნის ღონისძიებაზე განაცხადა.

„ყოველთვის აღვნიშნავდი, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვიყოთ ორიენტირებული სწორედ მაღალტექნოლოგიურ საწარმოებზე; ისეთ წარმოებებზე, რომლებსაც საექსპორტო პოტენციალი აქვს; ისეთ წარმოებებზე, რომლებსაც აქვს პოტენციალი, რომ საქართველომ ადგილი დაიმკვიდროს როგორც მაღალტექნოლოგიური პროდუქციის მწარმოებელმა ქვეყანამ,“ – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მისი თქმით, ქუთაისში, მზის პანელების საწარმოში 300 ადამიანი დასაქმდება. ამასთან ერთად, იქნება მნიშვნელოვანი პროგრამები, რომლებიც პერსონალისთვის საგანმანათლებლო მოდულების დაარსებას შეუწყობს ხელს.

„ჩვენ გვაქვს ეროვნული იდეა და ეს არის განათლება. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ განათლება და ეკონომიკა – ეს არის ორი სექტორი, ორი მიმართულება, რომლებიც ყოველთვის ერთმანეთის პარალელურად უნდა ვითარდებოდეს. ერთმანეთს უნდა ავითარებდეს.

მსგავსი საწარმოების გახსნით მჯერა, რომ, პირველ რიგში, სწორედ განათლების რეფორმა იქნება წარმატებული და პირიქით, ჩვენ განათლების რეფორმის ფარგლებში შევძლებთ, რომ უფრო მეტი ინტერესი შევქმნათ საერთაშორისო ინვესტორებისთვის, რომ მსგავსი საწარმოები უფრო მეტი რაოდენობით გაიხსნას საქართველოში,“ – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მისივე თქმით, რამდენიმე კვირაში ქვეყანაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საწარმოს მშენებლობა დაიწყება და ეს იქნება პირველი ელექტრომობილების ქარხანა ქუთაისსა და ზოგადად რეგიონში. მთავრობის მეთაურის განმარტებით, ეს დასტურია იმისა, რომ „საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო რუკაზე, როგორც მაღალტექნოლოგიური პროდუქციის მწარმოებელმა ქვეყანამ.“

„რამდენიმე თვის წინათ, როცა ამაზე ვსაუბრობდი, ბევრი ამას სკეპტიკურად უყურებდა. ჩვენი თვალით რეალურ ცხოვრებაში, უახლოეს მომავალში დავინახავთ, რომ საქართველო – დიახ, გახდება მაღალტექნოლოგიური პროდუქციის მწარმოებელი ქვეყანა,“ – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, საქართველოს უნიკალური საინვესტიციო პირობები აქვს, თუმცა ეს საკმარისი არ არის.

მამუკა ბახტაძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ქუთაისში, მზის პანელების საწარმოს მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ის ისეთ მნიშვნელოვან ბაზრებს მოამარაგებს, როგორიცაა ევროკავშირი, აშშ და ახლო აღმოსავლეთი. ასევე, პრემიერ-მინისტრმა ინვესტორებს საქართველოში საწარმოს აშენების გადაწყვეტილების მიღების გამო მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ გერმანული კომპანია AE SOLAR, რომელიც ქარხანას ხსნის, მზის ენერგიის წარმოების მხრივ მსოფლიო ლიდერია.

ქართული ღვინო ლონდონის საერთაშორისო გამოფენაზე

ლონდონის საგამოფენო ცენტრში ღვინის საერთაშორისო „Olympia London“ გამოფენა „London Wine Fair 2019“ იმართება, რომელშიც ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 15 კომპანია მონაწილეობს.

გამოფენას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში თამარ ბერუჩაშვილი დაესწრო.

გამოფენის ფარგლებში ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Swirl Wine Group“ ხელმძღვანელი, ბრიტანელი ღვინის მაგისტრი **სარა ებოტი** (Sarah Abbot) ქართული ღვინის სამ პრეზენტაცია-დეგუსტაციას ჩაატარებს: ქვევრის ღვინოზე, საფერავსა და თანამედროვე ღვინოებზე.

როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა **თამარ ხანიშვილმა** აღნიშნა, გამოფენაზე ქართული ღვინის მიმართ ინტერესი ღვინის პროფესიონალების მხრიდან საკმაოდ დიდია.

„აღნიშნული გამოფენა არის ერთი-ერთი მნიშვნელოვანი დიდ ბრიტანეთში, რომელიც ღვინის სფეროში მოღვაწე უამრავ პროფესიონალს იზიდავს. გამოფენას ესწრებიან ღვინის ექსპერტები, ღვინით ვაჭრობის სფეროსა და მედიის წარმომადგენლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. გამოფენაში მონაწილეობა საუკეთესო შანსია ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვის, რომ საკუთარი პროდუქცია წარუდგინონ ევროპელ მომხმარებელს, რაც ხელს უწყობს ქართული ღვინის ექსპორტის ზრდას“ – აღნიშნა თამარ ხანიშვილმა.

მისი თქმით, დიდი ბრიტანეთი არის ერთ-ერთი პრიორიტეტული ბაზარი ქართული ღვინისთვის, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტო სხვადასხვა მარკეტინგულ ღონისძიებებს ახორციელებს. London Wine Fair ტარდება 1981 წლიდან და ღვინის სფეროში მიჩნეულია წლის ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებად. გამოფენაში, რომელიც წლეულს იმართება, 14 000 სხვადასხვა დასახელების ღვინოა წარმოდგენილი მსოფლიოს 35 ქვეყნიდან.

სახელმწიფოს არ შეუძლია ინვესტორის კომერციული რისკების დაზღვევა?!

ანაკლიის პორტის დაფინანსებასთან დაკავშირებით გუშინ ფინანსთა სამინისტროში შეხვედრა გაიმართა. ვიცე-პრემიერმა მაია ცქიტიშვილმა არაერთხელ გაიმეორა, რომ სახელმწიფო საკუთარ თავზე ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის კომერციული რისკების დაზღვევას არ აიღებს.

მინისტრის თქმით, ინვესტორმა და ბანკებმა უნდა იპოვონ შესაბამისი მექანიზმები, რათა რისკების დაზღვევა სახელმწიფოს ჩართვის გარეშე მოხდეს. ცქიტიშვილის თქმით, მოლაპარაკება გაგრძელდება იქამდე, სანამ ეს მექანიზმები არ იქნება მოპოვებული. ინფრასტრუქტურის მინისტრი ამბობს, რომ ანაკლიის განვითარების კონსორციუმისთვის დაფინანსების მოსაზიდად გათვალისწინებული ვადა, რომელიც ივნისში იწურება, სავარაუდოდ, გახანგრძლივდება.

„სტაიანშიკების“ მიმართ მოწყალებას ვიჩენთ!

წელიწადზე მეტია, რაც საპარკინგე ადგილების ადმინისტრირება თბილისის სატრანსპორტო კომპანიის დაქვემდებარებაში გადავიდა, თუმცა არჩევნებამდე დაპირებული პარკირების პრობლემა არათუ მოგვარდა, კიდევ ურო დამძიმდა. უამრავ მიზეზებთან ერთად „კომერსანტთან“ ექსპერტები ე.წ. „სტაიანშიკებსაც“ ასახელებენ, რომლებიც დედაქალაქში თვითნებურად მუშაობენ და საკუთარ წესებს ადგენენ.

თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა მუმლაძე ამ თემაზე პასუხისმგებლობას იხსნის და „კომერსანტთან“ საუბარში განმარტავს **„რეალურად თუ გატარდა სწორი საპარკინგე პოლიტიკა და იქნება თავისუფალი ადგილები, „სტაინშიკების“ საჭიროება თბილისში აღარ იქნება. ეს არის ფენა, რომელიც თვითდასაქმებულები არიან და ჩვენ მათ მიმართ მოწყალებას ვიჩენთ. ეს პრობლემა ავტომატურ რეჟიმში დაღაგდება, როდესაც სისტემა გაიმართება და მუშაობას სრულად დაიწყებს “.**

დარგის ექსპერტები ხშირად საუბრობენ იმაზეც, რომ ე.წ სტაინშიკების გამომუშავებული თანხა კონკრეტული ადამიანების ჯიბეში მიდის. აღნიშნულ საკითხზე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის პასუხი შემდეგია: **„ეს თუ თაღლითური სქემაა, ამისთვის შესაბამისი სამსახურები არსებობს, რომლებმაც შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს. ალბათ, უწყებები მიიღებენ გადაწყვეტილებებს. ჩვენი ვალდებულება კი არის, შევქმნათ ევროპული სატრანსპორტო პოლიტიკა და „სტაინშიკების“ საჭიროება ქალაქში აღარ იყოს. ამას ვაკეთებთ,“** – განმარტავს მამუკა მუმლაძე.

ის, რომ ე.წ. სტაიანშიკები დედაქალაქის მოსახლეობისთვის მიუღებელია, კარგად ჩანს მერიის პროექტიდან **„შენი იდეა თბილისის მერს“,** რომლის ფარგლებში არაერთი ინიციატივა დარეგისტრირდა. თუმცა მოქალაქეებსა და მერს შორის შეთანხმება ვერ შედგა.

ბაჩო ადამია

უნდა მივართვათ თუ არა „ქრთამი“ მასწავლებელს?!

ჩემი ვაჟის სასკოლო ჩანთის ძიებაში ვიყავით. როგორც წესი, ყველა გამყიდველი ყველა მაღაზიაში სასწაულებს მიაწერს ხოლმე თავიანთ საქონელს. მაშინ ჩემი შვილი პირველ კლასში მიდიოდა.

— პირველ კლასში შეფასება არ იწერება და ამიტომ მასწავლებლის სასაჩუქრე განყოფილებიანი ჩანთა ჯერ არ მინდა-მეთქი — გავეხუმრე გამყიდველს. ეეეჰ, ასე გეგონოთო, — ამოიოხრა ერთმა, უთუოდ მშობელმა. — არც „დაწყებითის“ მასწავლებლებს აქვთ ნაკლები მადა. ვერცერთ კლასში გადაურჩებით საჩუქრების მირთმევასო (არადა, საბედნიეროდ, ძალიან ღირსეული მასწავლებელი „შეგვხვდა“).

— რას ვიზამთ, ასეაო! - კვერი დაუკრა გამყიდველმაც.

ინით წვერშელებილი გადაცმული მეფესავით გავიტრუნე. არ მითქვამს, მეც პედაგოგი ვარ-მეთქი. გულში რაღაც ჩამწყდა! ყველა პედაგოგი ერთ ტაფაში?! არადა, იმ ხარკის მოყვარულ პედაგოგებსაც ვინ აჯეჯილებს ნეტავ, — მშობელი ხომ?

მაგრამ, სადაც მშობლები თავოსნობენ, „პატივი ვცეთო“, იქაც არ უნდა ხდებოდეს. „ტალახიანის“ მომენტია და კი ვისვრებით დანარჩენებიც.

მე და ჩემს მოსწავლეებს (ყოფილებსაც და ახლებსაც) ერთიანი სუფრაც გვაქვს ხოლმე და საჩუქრები აქეთ მე მიმიტანია. აბა, იუბილე თუ აქვს კაცს, 2 ლარი მაინც ხო უნდა გაიმეტო. მაგრამ სირაქლემის პოზაშიც არა ვარ. შემიძლია ნიშნებზე მოვაჭრე „კოლეგების“ გახსენებაც, სახელს რომ გვირცხვენენ. ეს დაახლოებით „ჯიპიანი ბიზნესმენი“ მამაოების მსგავსი თემაა!

მაინც ხშირად მესმის: მერე რა მოხდა, მასწავლებელი ამდენს წვალობს, „ათას გიჟს“ უნდა გაუძლოს და დიდი ამბავი, ის რაიმეთი წაახალისოო!

ელემენტარული ადამიანური თავაზიანობისა და ყურადღების გამოჩენა, „მერე რა მოხდა“ კი არა, აუცილებელიცაა. მასწავლებელს რომ ყვავილები, კალამი, წიგნი აჩუქო, ამით ქვეყანა არ დაიქცევა მაგრამ ამის ნორმად გადაქცევა გახლავთ პრობლემა. ამ „მერე რა მოხდამ“, ხარკ-მისართმევლების ნორმად მიღებამ დაგვღუპა.

პრობლემა მარტო ის კი არ არის, რომ პედაგოგი გაანებრივო — მშობელი ამას რომ მიუთითებლადაც აუცილებელ მოვალეობად თვლის, ეს არის პრობლემა და მერე ჩვენი საზოგადოება თავს იმართლებს: მასწავლებელი ხომ არ ავალებს, რამე მაჩუქეთო, მშობლები თავად იჩენენ თავოსნობას და მასწავლებლის ბრალი რა არისო!..

ხო, აბა, რა... მასწავლებელი რა შუაშია? მიუტანეს საჩუქარი და უარს იტყოდა? ამ ლოგიკით ან თანამდებობის პირები რა შუაში არიან? მიაქვთ ქრთამი და უარს ხომ არ იტყვიან? აი, მაგალითად, მინისტრმა რომ ვინმე დაწინაუროს და სანაცვლოდ დაწინაურებულმა დაასაჩუქროს! მინისტრი რას აშავებს? დამნაშავე ის არის, ვინც საჩუქარი მიართვა და მას უნდა გააძრო ტყავი!

2012 წლიდან რომ ჩავები მასწავლებლების აქტიურ დაცვაში, იმის მერე ენა არ გამიჩერებია. უსინდისო თუ იტყვის, მასწავლებლებს ერჩისო. არა, ბატონებო, მასწავლებლებს კი არა, იმ არცთუ ერთეულ უმსგავსობაზე ვლაპარაკობ, რაც საჩუქრის სახელწოდებითაა შეფუთული და მის უკან კი ვისთვის ადვილად გასაღები და ვისთვის ოფლის ღვრით ძლივს მოგროვებული გროშები იმალება. ვინმეს უფიქრია, რა უჯდება ათასობით მშობელს გატრივაზებული მოპედაგოგო, მოდამრიგებლო, მოდირექტორო ტიპების უხვი მადის დაკმაყოფილება? და განა ათასში ერთხელ?

არა: დაბადების დღეებზე, დღესასწაულებზე, სასწავლო წლის ბოლოს და სკოლის სრულად დამთავრების მერე, ე.წ. „ბოლო ზარებსა“ და გამოსაშვებ ბანკეტებზე ხომ საერთოდ (შიგა და შიგ გავიმეორებ: ეს ყველგან არ ხდება, მაგრამ სადაც ხდება, არც იქ უნდა ხდებოდეს)!.. რომელი მშობელი გაბედავს განზე დგომას, როდესაც ასე რეალურად და ხელშესახებად მოსალოდნელია უამრავი ხიფათი შვილისთვის: ემანდ კლასში არ დატოვონო, ან არ გარიცხონო, ან პედაგოგი არ გადაემტეროსო, ან ბულინგის მსხვერპლი არ გახდეს და რამდენი „ან“ არის ამ წუმპე ვითარებაში?!

აქა-იქ მაინც წამოყოფენ თავს და აყიყინდებიან ხოლმე ჩემზე მეტად თავგამოდებული დამცველები პედაგოგებისა და ვიცი, ახლაც წამოიყვირებენ: „ყველა მასწავლებელს როგორ ლანძღავსო“. და, როგორც ხედავთ, ყველას არ ვეხები. ილია მართლისა არ იყოს, „ჩვენ პირთან საქმე არ გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზე ვწერთ“. რატომღაც მგონია, ამას ის იტყვის, ვინც ამგვარ უსინდისოში თავს შეიცნობს, თორემ გულწრფელი ადამიანი იმაზე შეწუხდება, რომ ძვირფას საჩუქართმოყვარულები სახელს გვიტეხენ და ავტორიტეტს გვილახავენ!

ასეთების გამო ერთი ამბავი მახსენდება: დაახლოებით 2014 წელი უნდა ყოფილიყო. როგორც ყოველთვის ხდება, განათლების მაშინდელმა მინისტრმა საფუძვლიანად მოამზადა პედაგოგებთან შეხვედრა. ზუსტად ისეთი, საბჭოეთის ლიდერი ბრეჟნევი რომ მართავდა ხოლმე. „სახელფასო პოლიტიკის“ პრეზენტაცია იმართებოდა. 300 პედაგოგი მიიწვიეს. თქვენს მონა-მორჩილს კი უარი უთხრეს, აქ ჩვენ მდუმარე და ტაშისმკვრელები გვჭირდებაო!

300 პედაგოგი საკმაოდ სოლიდური რაოდენობაა. 300 მდუმარე პედაგოგი!

საოცრება კი იყო: მაშინდელი მინისტრი ხელფასის სასწრაფო მატების წინააღმდეგი იყო და ამის მოსასმენად იქ 300 მასწავლებელი მივიდა. მე და ჩემი მეგობრები კი ხელფასის დაუყოვნებლივ მატებას ვითხოვდით იქვე, სამინისტროსთან და სამასმა კი არა, 3 პედაგოგმაც ვერ გაბედა შემოერთება.

განა არ იზიარებდნენ ჩემს პოზიციას?

როგორ არა... პირიქით, ზოგიერთი მეტ აქტიურობასაც კი მთხოვდა.. გაბედულებასაც მიწუნებდა ზოგი. სამაგიეროდ, მინისტრმა ერთი „ჩასტვინა“ და პედაგოგები თავიანთი ნების წინააღმდეგ იქ გაჩნდნენ... ჰოდა, ვდგავართ სამინისტროსთან ორიოდე კაცი ლოზუნგებით, ხელფასის დაუყოვნებლივი ზრდის მოთხოვნით და 300 კოლეგამ ისე გაგვიარა გვერდით მე და ჩემს მეაქციებს, თითქოს არც ვარსებობდით. ისე დაზაფრულებმა შეათვალიერეს სამინისტროს სახელფასო პოლიტიკის საწინააღმდეგო ლოზუნგები და მინისტრის კარიკატურა, გეგონება, მხოლოდ შეხედვისთვის დასჯიდნენ!

და ეს 300 პედაგოგი!.. ისხდნენ მშვიდად სიცრუის შოუზე, ამ დემაგოგიურ და უნიჭო „ჰიპნოზურ“ ფარსზე?! მინისტრმაც საჯაროდ კმაყოფილმა განაცხადა, ყველაფერი განხილული და ერთხმად მოწონებულია თავად პედაგოგების მიერ, რომ ყველა უზომოდ კმაყოფილია ჯერ არნანახი და არგაგონილი იგავმიუწვდომელი რეფორმითო. და ეს რეფორმაა, ამდენი ხანია სისხლი რომ გაუშრო და კვლავაც უშრობს მთელს საგანმანათლებლო სივრცეს.

ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ თუ ვინმე კიდევ მიკიჟინებს, „როგორ ყველა ლანძღავს პედაგოგსო“, გაიხსენოს, რომ სწორედ პედაგოგის ინტერესისთვის არაერთხელ მომიწია ბიუროკრატიასთან დაჯახება. ეს იმ დროს, როდესაც ზოგიერთი პედაგოგი იქამდეც კი კადნიერდებოდა, რომ სასაჩუქრე სერვისებსა და პაკეტებს თავადვე უგეგმავდა მშობლებს.

ვერანაირად უარვყოფთ მშობლების „პაკაზუხურ“ როლს. ზოგი ლიდერობს სასაჩუქრე საქმიანობის ინიცირებისას, რაც მისი და მისი შვილის პრივილეგირებულობის საფუძველი შეიძლება გახდეს. თუ მასწავლებელი ფორმალურად მაინც იუარებს მშობლების „მოკრძალებულ საპატივცემულო“ მცდელობას, მაშინ „სტავკა“ სკოლის კედლების მიღმა აგროვდება და „ათასი გიჟისთვის“ გაწეული პედაგოგიური საქმიანობის დაფასებაც ასე ექცევა კანონის ფარგლებში. და რატომ აქვს ამას მასიური ხასიათი? იმიტომ, რომ პედაგოგიური ღვაწლის ამგვარი დაფასება „ღირებულებად“ გადაიქცა. ამ „ტრადიციებზე“ აღიზარდნენ თაობები, ეს მშობლებიც, მათი მშობლებიც, ეს პედაგოგებიც. როდესაც საბავშვო ბაღიდანვე იწყება ამგვარი „აღზრდა“ და ზრდასრულობამდე ასე გრძელდება, როდესაც საზოგადოება „განათლებული“ და დაპროფესიონალებულია ხარკის მიღება-გაცემაში, რაღა გასაკვირია, რომ მოწამვლის მასშტაბი საგანმანათლებლო სივრცეს სცდება და სახელისუფლებო სტრუქტურებშიც არის მოდებული.

დავით ფერაძე,
პედაგოგი, პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი

რეაბილიტირებული ხიდი გაიხსნა

თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურმა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა. ხიდის აღდგენის სამუშაოების ხანგრძლივობა, ხელშეკრულების მიხედვით, ხუთი თვით იყო განსაზღვრული, თუმცა რეაბილიტაცია ვადაზე ადრე დასრულდა.

სამუშაოების შედეგს დედაქალაქის მერი კახა კალაძე მოადგილე ირაკლი ბენდელიანთან ერთად ადგილზე გაეცნო.

როგორც თბილისის მერმა აღნიშნა, ვახუშტის ხიდის მდგომარეობა, ავარიულობის თვალსაზრისით, არც თუ ისე სახარბიელო იყო, შესაბამისად, მისი რეაბილიტაცია მერიის პრიორიტეტებში პირველ ადგილზე იდგა.

უნიკალურია რეაბილიტაციის ტექნოლოგიური ნაწილი — ხიდი (კონსტრუქცია) სპეციალური დომკრატებით აიწია და დაზიანებული საყრდენები გამოიცვალა. მოეწყო ასფალტის ახალი საფარი, ახალი რკინა-ბეტონის თვალამრიდები, სანიაღვრე სისტემა, ჰიდროიზოლაცია და სადეფორმაციო ნაკერები; მოაჯირები შეიღება სპეციალური საღებავით, რაც მისი ექსპლუატაციის ხანგრძლივობას უზრუნველყოფს; დასრულდა ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათების ქსელის მოწყობა LED სანათებით და საჰაერო კომუნიკაციები გზის საფარის ქვეშ მოექცა. პროექტის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია განაპირა ბურჯების ფილით მოპირკეთება, რათა მდგრადობასთან ერთად, ხიდის ვიზუალიც შესაბამისი იყოს.

რეაბილიტაციის ფარგლებში, დედაქალაქის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ ხიდის ტერიტორიაზე არსებული გზაგამყოფი კუნძულებიც გამწვანდა. დაახლოებით, 500 კვ. მეტრამდე ფართობის გზაგამყოფ კუნძულებზე რულონური ბალახი დაიგო, განხორციელდა მულჩირების სამუშაოები, ასევე, დაირგო ჭყორის მარადმწვანე ბუჩქები და მოეწყო სარწყავი სისტემა.

სჭირდება თუ არა საქართველოს ნეიტრალიტეტი?

ჩვენი ქვეყნის ნეიტრალიტეტის თემა იმდენი წლისაა, რამდენიც დამოუკიდებელი საქართველო. დროდადრო საკითხის აქტუალობა წინა პლანზე გამოდის და ვინც ამას ახმოვანებს, უმალ საწინააღმდეგო პოზიციების მატარებელთა კრიტიკის ქარიშხალში ეხვევა. ასეა ამჯერადაც — ახლებურად გაჟღერებულმა ნეიტრალიტეტმა ისეთი ანტინეიტრალური გნიასი გამოიწვია, უარესს რომ ვერ ინატრებდა ჩრდილოელი მეზობელი.

ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის ნეგატიური დამოკიდებულება ნეიტრალიტეტის მიმართ იმით არის განპირობებული, რომ მას (ნეიტრალიტეტს) რუსეთი უჭერს მხარს და რახან ასეა, ის მიუღებელი უნდა იყოს საქართველოსთვის.

რატომ? — იბადება კითხვა, რომელსაც პასუხს სცემს პოლიტოლოგი ცუცქირიძე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 14 მაისის ნომერში. აი ისიც: „არსებობს ინტერესი, რუსეთის ინტერესი, საქართველო არ იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო. ... უნდა ვეძებოთ სწორედ ასეთი მეგობრები, ანუ თავისუფალი და დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოების კავშირი. ასეთი ერთადერთია და ეს არის სწორედ ნატო“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცუცქირიძე არ არის მარტო, საქართველოს პოლიტიკური ელიტა, ზოგიერთთა გამოკლებით, იმ პოზიციაზეა, რაზეც პატივცემული პოლიტოლოგი.

საქართველოს ნატოში გაწევრების თემა, უფრო სწორად ნატოსთან თანამშრომლობა და შემდეგ მის კარზე მიკაკუნება, შემიშვითო, პრეზიდენტ შევარდნაძიდან იწყება და, ალბათ, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწევდა, რომ არა მომდევნოს ავანტიურისტული პოლიტიკური გადაწყვეტილება, ცხინვალის დაბომბვისა და იქ შეჭრის სახით.

ცხინვალმა მრავალი კითხვის ნიშანი გააჩინა და ყველა მათგანი ნდობას ეხება, ანუ რამდენად სანდო იქნება ნატოში შესული საქართველო თავისსავე ქვეყანაში მშვიდობის დამყარების თვალსაზრისით?! ანუ ნატოთი ზურგგამაგრებული საქართველო ხომ არ დაუწყებს ომს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს, მათი საქართველოში შემობრუნების მიზნით?!

ბრიუსელში, ისე, როგორც ნატოს წევრი ძლიერი სახელმწიფოების დედაქალაქებში, ეს კითხვა არსებობს და მისი გაბათილება დღესდღეობით შეუძლებელია, ისე, როგორც მათი დარწმუნება, რომ საქართველო ეკონომიკურ-სოციალური თვალსაზრისით წარმატებული ქვეყანაა; რომ საქართველო სამაგალითოა ყველა დონის არჩევნების სანიმუშო ჩატარების თვალსაზრისით; რომ საქართველო წარმატებით ატარებს სასამართლო რეფორმებს და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და რომელთა შეუსრულებლობა ვერ უზრუნველყოფს ნატოს „ღია კარში“ შესვლას!

და კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტორი — რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით. რუსეთი კატეგორიული წინააღმდეგია თავის საზღვრებთან ნატოს იარაღის ჟღარუნისა, რაშიც მას ვერ გავკიცხავთ, ვინაიდან მოახლოებული ნატო ნიშნავს სამხედრო ბაზებს, სამხედრო კონტინგენტს, რუსეთის სტრატეგიულ სამხედრო-პოლიტიკურ ობიექტებზე ნატოს სარაკეტო სისტემების დამიზნებას და მათ გასანადგურებლად ამ რაკეტების საფრენი დროის 5-6 წუთამდე შემცირებას, რაც რუსეთისთვის მომაკვდინებელი იქნება.

უკრაინაში, საქართველოსა და მოლდოვაში ნატოს სამხედრო ბაზების განლაგება ნიშნავს რუსეთის კაპიტულაციას ან განადგურებას. კაპიტულაციის შემთხვევაში — თავისუფლებისა და სუვერენიტეტის დაკარგვას. ასე თვლის რუსეთი და ამ გათვლაში ის შესაძლოა, მართალიც კი იყოს!

ობიექტურად თუ შევხედავთ რუსეთის დამოკიდებულებას ზემომოყვანილი სამეულის ნატოში შესვლასთან დაკავშირებით და იქ ნატოს სამხედრო ბაზების განლაგებას, არ უნდა გაგვიკვირდეს კრემლის ხისტი რეაქციაც — ნატოს ან აშშ-ის სამხედრო ბაზების გაჩენა ამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და იქ ამერიკული რაკეტების განლაგება, გვაიძულებს ამ ბაზების განადგურებას.

არც ყურს და არც გულს სიამოვნებს ესოდენ მძიმე დანაშაულის მოსმენა, მაგრამ ფაქტია და მას ვერსად გავექცევით. სწორედ ეს აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, თავის გამოსვლებში, რისთვისაც მას მოღალატეობა მიაწერეს. არადა, ზურაბიშვილი ამას 2008 წლის აგვისტოდან მოყოლებული აცხადებდა, ტალიავინზე ადრე. ის მართალი იყო და არის! ვერც ერთმა პოლიტიკოსმა ვერ გაბედა სიმართლის თქმა. პრეზიდენტმა გაბედა, რისთვისაც მას მადლობა ეკუთვნის და არა კრიტიკა.

ეს განცხადება რომელიმე რუს გენერალს კი არ ეკუთვნის, არამედ რუსეთის პრეზიდენტ პუტინს. და ვინც ფიქრობს, რომ რუსეთი ამას ვერ გაბედავს — ცდება, ისე, როგორც 2008 წელს. მაშინაც ფიქრობდნენ, რომ სუსტი რუსეთი თვალს დახუჭავდა სააკაშვილის ავანტიურაზე, მაგრამ არა!

„ჩვენი ქვეყანა ოკუპირებულია, ჰყავს მტერი რუსეთის სახით, რომელიც ყველანაირი მეთოდით ... ცდილობს ჩვენი ქვეყანა არსებობდეს მხოლოდ ფორმალურად, რუკაზე და რეალურად არ იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი“, — ამბობს ცუცქირიძე.

რუსეთი შეეცდებოდა, რომ ეს ასე ყოფილიყო, დღეს რომ მე-19 საუკუნე იყოს და არა ოცდამეერთე საუკუნის ოციანი წლები. პოლიტიკაში არის წითელი ხაზები, რომელთა გადალახვა იწვევს კონფლიქტს, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა გაუარესებას, ომს და ა.შ. ასეთს ჰქონდა ადგილი 2008 წლის აგვისტოში. ინიციატორი ვითარების ზედმეტად დაძაბვისა იყო სააკაშვილი და მისი გარემოცვა.

ის, რომ ომის გამჩაღებელი სააკაშვილი იყო, ეჭვი არ შეუტანია სპეცკომისიას ტალიავინის ხელმძღვანელობით და გაეროს, რომელმაც ზედმიწევნით დაზუსტებით ჩამოთვალა საქართველოს ხელისუფალთა და სამხედროთა მიერ ჩადენილი დანაშაული.

არც ყურს და არც გულს სიამოვნებს ესოდენ მძიმე დანაშაულის მოსმენა, მაგრამ ფაქტია და მას ვერსად გავექცევით. სწორედ ეს აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა თავის გამოსვლებში, რისთვისაც მას მოღალატეობა მიაწერეს. არადა, ზურაბიშვილი ამას 2008 წლის აგვისტოდან მოყოლებული აცხადებდა, ტალიავინზე ადრე. ის მართალი იყო და არის! ვერც ერთმა პოლიტიკოსმა ვერ გაბედა სიმართლის თქმა. პრეზიდენტმა გაბედა, რისთვისაც მას მადლობა ეკუთვნის და არა კრიტიკა.

ზოგიერთმა „პატრიოტმა“ ისიც თქვა — ეს რომ ასეც იყოს, მაინც არ უნდა ვთქვათ, ვინაიდან ქვეყანას აზიანებსო. თუ რაიმე აზიანებს ქვეყანას — უპირველესად არის ტყუილი და თუ არ შევეშვებით ტყუილების თქმას, კარგი არაფერი დაგვემართება.

ცნობისთვის — ფოლკლენდის ომის გამჩაღებელი არგენტინის ხელისუფლება და სამხედროები ციხეში გამოამწყვდიეს.

საქართველოში ხშირად გაისმის ისტერიული განცხადებები, რომ რუსეთს საქართველოს დაპყრობა სურს, ისე, როგორც უკრაინის, მოლდოვისა. დაახლოებით ანალოგიური მოსაზრება გაჟღერდა ცუცქირიძესთან ინტერვიუშიც. ჟურნალისტი ნოზაძე ასეთ კითხვას სვამს: **„უკრაინამ გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, თუმცა რუსეთმა უკრაინის დამოუკიდებლობა შებღალა, სისხლში ჩაახშო. ასევე საინტერესოა შევარდნაძის მაგალითიც, რომელმაც დსთ-ში შეიყვანა საქართველო, მაგრამ ამის მიუხედავად, ტერიტორიული მთლიანობა ვერ აღადგინა“.**

რაც შეეხება შევარდნაძეს და დსთ-ს — მან წაგებული ომის შემდეგ შეიყვანა საქართველო დსთ-ში. ისე კი უმჯობესი იქნებოდა, შებრუნებით ყოფილიყო.

რომელი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და თავისუფლება შებღალა რუსეთმა — ბელარუსის, ცენტრალური აზიის ქვეყნების, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის თუ სომხეთის? რომელი ერთის?

ყველა მათგანი მჭიდრო ურთიერთობაშია რუსეთთან — ვაჭრობის, ეკონომიკის, კულტურის თვალსაზრისით. პოლიტიკა ყველას დამოუკიდებელი და რუსეთისგან განსხვავებული აქვს. ისინი არ ლანძღავენ რუსეთს. პირიქით, თანამშრომლობენ მასთან. ისინი არ აჰყვნენ დასავლურ პროპაგანდას და არ დაუწყეს რუსეთს „ბწკენანი და ღრენანი“, არც „ნატო-ნატოს“ ძახილით გააყრუეს სამყარო. ისინი პრაგმატულად მოიქცნენ და იქცევიან, ისე, როგორც თავის დროზე ფინეთი, ავსტრია, სხვები. ვინ მოიგო? ყველამ ერთად — მათაც და რუსეთმაც.

დამოუკიდებლობის თითქმის 30-წლიანი, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საქართველოში არ გამოჩნდა ისეთი ხელისუფლება, რომელიც სიღრმისეულად გააანალიზებდა ვითარებას და ისე წარმართავდა ქვეყნის აწმყოსა და მომავალს, რომ მშვიდობიან ვითარებაში ეცხოვრა ხალხს.

რა არის ცუდი ნეიტრალიტეტში, თუკი თავდებად გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი რუსეთი იქნება? — არც არაფერი.

რას ნიშნავს ნატოს წევრობა? — უძილო ღამეებს, მუდამ რუსული აგრესიის შიშით ცხოვრებას, დაძაბულობას. გაუძლებს გათითოკაცებული ქვეყანა ასეთ ზეწოლას?!

რაღა შორს მივდივართ, ვკითხოთ ბალტიისპირა ქვეყნებს, ჩვენი ჭკუის დამრიგებლებს — მშვიდად სძინავთ?

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ლევან იზორია პენტაგონში

აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრი პოლიტიკის საკითხებში აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილეს ჯონ რუდს შეხვდა. შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება აშშ-სა და საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების გზებზე გამახვილდა. ლევან იზორიას განცხადებით, ორ ქვეყანას შორის ასეთი მჭიდრო და ინტენსიური თანამშრომლობა არასდროს ყოფილა.

საუბარი შეეხო საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამასა და საბრძოლო მომზადების ცენტრის განვითარების სამომავლო პერსპექტივებს. მხარეებმა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებისთვის მრავალეროვნული სწავლებების ფორმატისა და მასშტაბის გაზრდის აუცილებლობაც განიხილეს.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, შემოდგომაზე აშშ-თან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამწლიანი ჩარჩო-ხელშეკრულება გაფორმდება, რომელშიც პრიორიტეტული მიმართულებები გამოიკვეთება და ამით აშშ-თან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა კიდევ უფრო განმტკიცდება.

„ეს მოგვცემს საფუძველს, რომ ქვეყანა კიდევ უფრო დაუახლოვდეს ნატოს და მიღწეული თანამშრომლობის მაღალი ხარისხით ქვეყანა მზად იქნება ნატოში გასაწევრიანებლად“, — აღნიშნა ლევან იზორიამ.

შერლოკ ჰოლმსი ლოგიკის, დედუქციური მეთოდისა და აზროვნების შესახებ

ვკაზმავ რა ჩემს საყვარელ ბედაურს (ჰოლმსი დედუქციის მეთოდს გულისხმობს), ვხედავ, რომ ბოროტად ვიყენებ თქვენს მოთმინებას.

* * *

როცა ამბავს თანმიმდევრულად აღუწერთ ვისმე, მსმენელები თვითონ ხვდებიან, როგორი იქნება შედეგი. ასე ხდება უფრო ხშირად. ისინი ამ ფაქტებს ერთმანეთს უკავშირებენ და გამოაქვთ დასკვნა, თუ რა მოხდა შემდეგ. მაგრამ ძალიან იშვიათად გვხვდებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც იმის უნარი აქვთ, რომ დაასახელონ ან აგვიწერონ შედეგის საფუძველზე ცალკეული ფაქტები, რომელთაც ეს შედეგი გამოიწვიეს. ამ საქმეშიც ცნობილი იყო მხოლოდ შედეგი, ყველაფერი დანარჩენი კი ჩვენ უნდა დაგვედგინა. ვეცდები, რომ დაგანახოთ ჩემი მსჯელობის ცალკეული რგოლები. დავიწყებ თავიდან. სახლთან, როგორც იცით, ფეხით მივედი და თავისუფალი ვიყავი ყოველგვარი წინასწარი რწმენისგან. ბუნებრივია, გზის კვლევა დავიწყე და აშკარად დავინახე იმ კების კვალი, რომელსაც ჩემი ვარაუდით იმ ღამეს უნდა ჩაევლო. ნაკვალევის სიგანეზე შევატყვე, რომ ეს იყო სწორედ კები და არა კერძო ეტლი, რადგან ჩვეულებრივი დაქირავებული ეტლის კვალი საკუთარი ეტლის კვალთან შედარებით ვიწროა.

* * *

ძიების მეცნიერებაში არ არის მეორე უფრო მნიშვნელოვანი და უფრო შეუსწავლელი უბანი, ვიდრე ნაკვალევის გარჩევის ხელოვნებაა. საბედნიეროდ, ამას ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი და დიდი გამოცდილებაც დამიგროვდა. მე შევნიშნე კონსტებლის მძიმე ნაბიჯები, აგრეთვე იმ ორი კაცის კვალი, პოლიციელებზე ადრე რომ გაეთელათ ბაღის ბილიკი, ადვილი იყო იმის დადგენა, რომ ეს ორნი სხვებზე ადრე იყვნენ ნამყოფნი აქ, რადგან ალაგ-ალაგ იმათი ნაკვალევი სრულიად გადაშლილი აღმოჩნდა სხვების ნაფეხურებით. ამრიგად, ჩემ ხელთ აღმოჩნდა მეორე რგოლი, იმის მაჩვენებელი, რომ ღამით აქ ორ ადამიანს გაევლო, ერთ ტანმაღალს (როგორც ნაბიჯების სიგრძის მიხედვით გამოვთვალე), მეორეს კი მოდაზე ჩაცმულს, რაც იმის ფეხსაცმლის პატარა და მოხდენილი ნაკვალევიდან ჩანდა.

* * *

– რაო, არ იცოდით, შრომებისა და გამოკვლევების ავტორიც რომ ვარ? – თქვა ჰოლმსმა სიცილით. – დიახ, რამდენიმე მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევა გამოვაქვეყნე... აი, ერთი იმათგანის სათაური: „სხვადასხვა ჯიშის თამბაქოს ფერფლის თავისებურებანი და ფერფლის საშუალებით თამბაქოს ნაირსახეობის განსაზღვრა“. ამ შრომაში ასორმოცამდე სიგარის, სიგარეტისა და ყალიონის თამბაქოს ჯიშია აღწერილი. შრომას თან ახლავს ფერადი ილუსტრაციები, თამბაქოს სხვადასხვა ჯიშის ფერფლის განმასხვავებელი თვისებების ნათელ სურათს რომ ქმნიან. ფერფლი კი, კრიმინალურ საქმეთა განხილვის მუდმივი თანამგზავრი, სადავო რამ არის და ხშირად ძალზე აწეწილ-დაწეწილი საქმის გასაღებად იქცევა ხოლმე. მაგალითად, ძიებას თუ შეუძლია წინასწარ იმის დადგენა, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილი ინდურ თამბაქოს ეწევა, რაღა თქმა უნდა, ეს გარემოება ცხადად ამცირებს ეჭვმიტანილ დამნაშავეთა წრეს და ძიების საქმეს აიოლებს. ტრიქინოპოლის თამბაქოს შავი ფერფლის განსხვავება გამოცდილ თვალს ისევე კარგად შეუძლია ჩიტისთვალის თეთრი, თითქოს ბუსუსმორეული ფერფლისაგან, როგორც კომბოსტოს განსხვავება კარტოფილისგან.

* * *

ადამიანი რაღაც უცნაური გამოცანაა.

* * *

– უინვუდ რიდმა თქვა ყველაზე სხარტად ადამიანებზე. თუ თითოეული იმათგანი ამოუხსნელი ამოცანაა, ხალხი მათემატიკურ ერთეულს წარმოადგენსო. მაგალითად, ძნელია იმის თქმა, როგორ მოიქცევა ამა თუ იმ შემთხვევაში თითოეული იმათგანი, მაგრამ ბრბოს საქციელის განსაზღვრა ადვილია. ინდივიდუმები ერთმანეთისგან დიდად განსხვავდებიან, მაგრამ პროცენტულად იმათი ხასიათების ურთიერთშეფარდება მყარია, ასეთია სტატისტიკა.

* * *

– ნამდვილი ეფექტის მოსახდენად, – სიტყვა გამაწყვეტინა ჰოლმსმა, – საჭიროა ამბების შერჩევა, წინასწარ ჭვრეტა და დიდი დაკვირვება. საპოლიციო უწყებათა ძირითადი ნაკლი სწორედ ამ ამბების უკმარობა და ღარიბულად წარმოდგენაა. ისინი უბრალო, უშვერი, უხამსი ამბების ზოგადად წარმოდგენას ამჯობინებენ წვრილმანებში კირკიტს. დაკვირვებული თვალისთვის კი საქმის არსი წვრილმანებსა და დეტალებშია საძიებელი. ყველაზე ხელოვნურად სწორედ გაცვეთილი და გახუნებული ამბები მოჩანს.

შერლოკ ჰოლმსი ქალების, გრძნობებისა და ამხანაგობის შესახებ

შერლოკ ჰოლმსი ცივი გონების, საღი აზრისა და მკაცრი ლოგიკის განსახიერებაა. ჰქონდათ კი ადგილი გრძნობებს იმის ცხოვრებაში? როგორი შეიძლება რომ ყოფილიყო იმისი შეყვარებული? საზრიანი და არაჩვეულებრივი, როგორიც თავად იყო, თუ ნაზი და შინაური, იმისთანა რამ მყუდრო სავანე, სადაც დაისვენებ დანაშაულთაგან, მკვლელობათაგან და კანონის დამრღვევთა დევნისაგან? ამაზე შეიძლება მხოლოდ ფანტაზიორობა, რამეთუ სერ ართური ნათლად გვაგებინებს: ისეთი წვრილმანი რამ როგორიც სიყვარულია, მცირედ აწუხებს მისტერ ჰოლმსის დიდ გონებას.

* * *

ადამიანთა შორის კავშირზე რომ ვფიქრობ, მე და შენ არცთუ ცოტა მელანი სულ ტყუილუბრალოდ დაგვიხარჯავს, მაგრამ მიმოწერას მიახლოებითაც ვერ მივუახლოებივართ ამ ფენომენის გაგებასთან. ხან მეჩვენება, ვითომ თვალგადაუწვდენელი უფსკრულის პირას ვდგავარ, იქიდან გიყვირი და არ ვიცი, მეპასუხები თუ ჩემივე ხმის გამოძახილი მესმის. უფსკრულის ამ ნაპირიდან მეჩვენება, რომ ვინმესთან ერთიანობის მოპოვების ჟინი ამქვეყნად უბედურების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. ვუცქერი ქორწინების წესებს, კატსონი რომ ასრულებს, ცდილობს რა რაღაც აზრის პოვნას წინასწარ დათქმულ საზოგადოებრივ პირობებში. მეჩვენება, რომ ვატსონს სულ უფრო და უფრო უტყდება გული წინასწარ დათქმულ პირობაზე და თავი ისე მიჭირავს, თითქოს ბევრად მაღლა ვიდგე და არც არაფრად მივიჩნევდე მსგავს სისულელეებს, ძირითადად იმიტომ, რომ არაერთხელ მინახავს, როგორ ანგრევენ ისინი ჩემგან პატივცემულ ადამიანებს. მაგრამ პატიოსნად თუ ვიტყვი, ხან მეჩვენება, რომ ჩემი საქციელის გამომწვევი სიყვარული (აგრე სახელდებული უკეთესი ტერმინის უქონლობის გამო) თამაშია, რომლის გაგებაც ვერა და ვერ მომიხერხებია. ამიტომაც არის, რომ თავი იმისგან შორს მიჭირავს, ბოლოს და ბოლოს, თუ ჩემი სუყოველი რწმენა ურყევი იქნებოდა, არამც და არამც აღარ ვინანებდი არც ერთ ჩემს ჩადენილ საქციელს და აღარც სუყოველი ინსტინქტის საწინააღმდეგოდ ამ მიმოწერას განვაგრძობდი. ჩემთვის შენ გამოცანა ხარ, რომელსაც იმ ყველაფრის მიუხედავად, რაც გადაგვხდა, ჯერ ისევ ვუტრიალებ. და ჩვენი ლაპარაკი, იქნებ უაზროც, გრძელდება და ისღა დაგვრჩენია, ვიმკითხაოთ: იქნებ, ვერც ერთი პასუხი ვერ გიპოვია ვერც ერთ იმ კითხვაზე, აგრერიგად რომ გვაღელვებენ ანდა არც ერთი ეს პასუხი უბრალოდ არც არსებობს. საბედნიეროდ, ჩვენთვის, ორივესთვის, ცხოვრება ყოველთვის პოულობს ახალ ხერხს, ეშმაკურ ფანდს რასმე, რათა მტანჯველი პრობლემები აგვაცდინოს.

* * *

თქვენ ისევე ხართ ნაფთალინის სუნით გაჟღენთილი ექსპონატი, მეგობარო, როგორც მე.

* * *

ქალები თავიანთი ბუნებით იდუმალებისკენ არიან მიდრეკილნი და თავიანთ გარშემო საიდუმლოებათა შემოჯარვა უყვართ.

* * *

პაიპი რა საძაგლადაც არ უნდა ექცეოდეს ქალს, არცროდის არა სჯერა, სიყვარული საბოლოოდ დამეკარგაო.

* * *

სწორედ ახლა ვიგრძენი, რარიგ მაკლია ჩემი ვატსონი, რომელსაც მართლაც ყოველგვარი ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი კითხვებით და გაკვირვების შეძახილებით შეუძლია ჩემი არცთუ რთული ხელოვნების ამაღლება სასწაულის დონემდე, თუმცა სინამდვილეში ის ჩემი ხელოვნება, სხვა არა არის რა, თუ არა გასისტემატურებული საღი აზრი.

* * *

ქალი ჩვენთვის, მამაკაცთათვის, სრულყოფილ გამოცანად რჩება. ქალს შეუძლია წარსულის სულაც დავიწყება ანდა სიტყვაზე დაჯერებაც, ის წარსული გინდ მძიმე დანაშაულიც იყვეს, და ამავე დროს შეუძლია თვითგვემაც უბრალო რამის გამო.

* * *

ეს ბარათი არც არაფერს არ მეუბნება, გარდა იმისა, რომ იქ რაღაც ხდებოდა და აქ, როგორც ყოველთვის, ქალის ამბავია.

* * *

თქვენ, ძვირფასო ვატსონ, როგორც ტერფით თხემამდე, ჩემმა მეგობარმა ცუდ ჩვეულებად გაიხადეთ თქვენი მოთხრობების არასაჭიროებისამებრ დაწყება.

* * *

ქალების გაგება საერთოდ ძნელი საქმეა. ქალის ყველაზე ჩვეულებრივი საქციელის მიღმა შეიძლება ძალზე ბევრი რამ იმალებოდეს, ხოლო ქალის დაბნეულობა ხან სარჭზე, თმის ჩხირზე ანდა თმის დასახვევ მაშაზეა დამოკიდებული.

* * *

სიყვარული ემოციური რამ არის და ამიტომ ეწინააღმდეგება ხალას და ცივ გონებას. გონებას კი, როგორც ცნობილია, ყველაფერზე უფრო მაღლა ვაყენებ. რაც შემეხება მე, არცროდის ცოლს არ მოვიყვან, რათა გონების სიმკვეთრე არ დავკარგო.

* * *

ემოცია წმინდა აზროვნების მტერია.

* * *

თქვენ დიდი ნიჭით ხართ დაჯილდოებული – დუმილი შეგიძლიათ. სწორედაც ამ ნიჭიერების წყალობით ხარ შეუცვლელი ამხანაგი.

* * *

ქალების ნდობა არ შეიძლება, ვატსონ. გინდ იმათგან ყველაზე საუკეთესოებისაც კი.

* * *

მგრძნობიარე მოწყობილობაში მოხვედრილ ქვიშის მარცვალს თუ მძლავრ ლინზაში გაჩენილ ბზარს ბევრად ნაკლები უსიამოვნების მიყენება შეუძლია მეცნიერებისთვის, ვიდრე თქვენისთანა კაცისთვის ვნებას.

* * *

საკვირველი, მიუწვდომელი რამ არის სიყვარული. აი, აქ ვდგავართ ორნი, დღევანდლამდე არცროდის არ შეგხვედრივართ, არცროდის ერთი ალერსიანი სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისთვის, არც კიდევ ერთიმეორისთვის ალერსიანად არ შეგვიხედავს და ახლა საშიშროების წუთს ჩვენმა ხელებმა ინსტინქტურად ერთმანეთისკენ გაიწიეს. მერე ხშირად გაკვირვებით ვიგონებდი ამ წუთს, მაგრამ მაშინ ყოველივეს ბუნებრივად მივიჩნევდი და ის მალიმალ მეუბნებოდა, რომ დანახვისთანავე გული შეუვარდა ჩემზე, დარწმუნებულს, რომ ჩემში ნუგეშსა და მფარველს იპოვიდა. აგრე ვიდექით ორნი იმ უცნაური, პირქუში სახლის წინ ბავშვებივით ხელიხელგადაჭდობილნი და ჩვენს აფანცქალებულ გულებს სიმშვიდე დაეუფლა.

(გაგრძელება იქნება)



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №95, 97-100

რუსული არხის „როსია 1“-ის სიუჟეტს საქართველოში აღშფოთება მოჰყვა. ჟურნალისტი მაქსიმ კისილიოვი ორი ქვეყნის ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ კავშირს უსვამს ხაზს და ამბობს, რომ რუსული ენა საქართველოსთვის 10 წლის წინათ მოკვდა, თუმცა ეკონომიკამ ის კვლავ გამოაცოცხლა. კერძოდ, საქართველოში სულ უფრო იზრდება რუსულად მოლაპარაკეთა რაოდენობა, რუსი ინვესტორები კი საქართველოში ქონების შესაძენად უფრო მეტ ფულს ხარჯავენ, ვიდრე თურქები ან არაბები. მოკლედ, სიუჟეტის მიხედვით, ვინც რუსული იცის, მისთვის საქართველოში სამსახურის შოვნა უფრო ადვილია.

კისილიოვის თქმით, საქართველოში სამიდან ორი ტურისტი რუსულად საუბრობს, თითქმის ყველა რესტორანში მენიუ რუსულ ენაზეა. ჟურნალისტი წარსულ დროშიც გვამოგზაურებს და რუსი მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის მნიშვნელობაზეც საუბრობს, რომ სწორედ ვორონცოვის დროს გაიზარდა ქართული ღვინის წარმოება.

კისილიოვის მტკიცებით, ქართული ჩაიც არ იარსებებდა, რომ არა ვორონცოვი. ვინაიდან რუსის ჯარს დიდი რაოდენობით ჩაი სჭირდებოდა, ამიტომაც საქართველოში ჩაის პლანტაციები გაშენდა. ასევე, კისილიოვი რუს ჯარისკაცთა დამსახურებად აფასებს, რომ ისტორიული ძეგლი ვარძია, სადაც თამარ მეფე ლოცულობდა, საქართველოს დაუბრუნდა.

ქართველი ინტერნეტმომხმარებლები მწვავე რეაქციას არ იშურებენ კისილიოვის რეპორტაჟის და, ზოგადად, რუსული პროპაგანდის მიმართ.

მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი ამბობს, რომ ამ სიუჟეტის გადაღების საშუალება საქართველოში არ უნდა მიეცათ. ინტერნეტმომხმარებელი ნიკა ბაციკაძე გაკვირვებულია იმით, რომ საქართველო მიისწრაფვის ევროპისკენ და საქართველოში ისევ რუსული ენა დომინირებს, რადგან სამსახურს ისე ვერ შოულობ. რომელ ევროპულ ქვეყანაშია ასე?!

ფეისბუქმომხმარებელი ნიკა ბიგდიკაძე კი მიიჩნევს, რომ ოკუპანტებთან ბრძოლა ჯერ საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ და „პრივეტ“ და „ზდაროვა“ ჩვენი სასაუბრო ლექსიკიდან გავაქროთ.

რუსული პროპაგანდის გააქტიურების შესახებ „სახალხო პარტიის“ ლიდერი მამუკა გიორგაძე გვესაუბრება.

„რუსული პიარმანქანა მუშაობს იქ, სადაც მას წინააღმდეგობა არ ხვდება“

— ქვეყანაში, რომელიც ევროპისკენ მიისწაფვის, რამდენად ადეკვატურია რუსული გზისკენ ცქერა და რუსული ენის პოპულარიზაციის ზრდა? კისილიოვის სიუჟეტი რუსული პროპაგანდის ნაწილია?

— ყველასათვის ცნობილია, კისილიოვი არის რუსეთის სახელმწიფოს საინფორმაციო მანქანის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურა. ის იმდენად თავხედურად და არაობიექტურად ასახავს ვითარებას, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აკრძალული აქვს შესვლა. კისილიოვი ერთ სიტყვას არ იტყვის ისეთს, რომელიც არ ჯდება რუსეთის საინფორმაციო მანქანის ინტერესებში და ზუსტად იმ დროს ახმოვანებს სათქმელს, როდესაც რუსეთს ეს სჭირდება. ამიტომ კისილიოვს არაფერი აქვს საერთო ჟურნალისტიკასთან. უნდა ვიცოდეთ, რომ კრემლი კისილიოვის ბაგეებით ღაღადებს. თუმცა პროპაგანდაში რაღაც ნაწილი მაინც უნდა იყოს სიმართლე, რადგან ტყუილს არავინ დაიჯერებს. ამდენად, კისილიოვი, გარკვეულწილად, სიმართლესაც ამბობს. შევხედოთ რეალობას, ჩვენს ტურისტებს შორის სამიდან ორი ნამდვილად არის რუსულ ენაზე მოლაპარაკე და ეს ფაქტია. მეორე მომენტია, რომ ქართულ მედიაში, სოციალურ ქსელებსა თუ ჩვენს საზოგადოებაში გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც თავხედურად ბედავენ იმის თქმას, თითქოს საქართველოში არანაირი ოკუპაცია არ არის. რა თქმა უნდა, ესენი რუსული სპეცსამსახურებისგან დაფინანსებული ადამიანები არიან. სამწუხაროდ, ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებიან ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც რუსეთისადმი ნოსტალგიით გამოირჩევა. თუნდაც 9 მაისის აღნიშვნა საქართველოს სხვადასხვა რაიონში ხელისუფლების მონაწილეობით მოხდა და აქ რუსული პროპაგანდა სჭარბობდა. ეს არის ობიექტური რეალობა. რუსი ტურისტების მომსახურებისთვის აშკარად გამოიყენება რუსული ენა. ეს რატომ გვიკვირს? არ გვახსოვს, ათი წლის წინათ ქობულეთში სომხური წარწერები რომ იყო რესტორნებში? ეს ბუნებრივი პროცესია და ეს მოთხოვნა გაჩნდა ტურისტებთან ურთიერთობის გამო, მრავალი კვების ობიექტი სწორედ ამ ტურისტებზე მუშაობდა. რუსეთი თავისი აგენტურის მეშვეობით ხელს უწყობს ამ პროცესთა წარმართვას. ეს ხდება ხელისუფლების თვალის დახუჭვის, ან ფარული დახმარების ფონზე. შესაბამისად, კისილიოვსა და მისნაირებს საბაბი ეძლევათ, ილაპარაკონ საქართველოში საზოგადოებრივი განწყობების ცვლილებებზე. გავიხსენოთ ვორონცოვის პერიოდის ქართველი საზოგადოება, რომელიც დითირამბებს უძღვნიდა ვორონცოვს.

— მადლიერების ნიშნად ქართველებმა მიხეილ ვორონცოვს ძეგლიც დაუდგეს და მას „ყველაზე წესიერ რუსად“ მოიხსენიებდნენ.

— დიახ, ესეც ფაქტია. ვორონცოვს დითირამბებს უძღვნიდნენ, რადგან ვორონცოვის დროს დაიწყო ფსიქოლოგიური, მორალური გარდატეხა ქართველ საზოგადოებაში. თვით ის ხალხიც კი, რომლებიც 1832 წლის აჯანყების შემდეგ დაბრუნდნენ ქვეყანაში 5 წლის თავზე, ვორონცოვმა ჩართო თავისი გეგმების განხორციელებაში. ეს ხდებოდა ეროვნულ-პოლიტიკური აზროვნების ხელშესაშლელად და პოლიტიკური წინააღმდეგობის შესასუსტებლად. ესეც რუსეთის პოლიტიკა იყო. მრავალი ადამიანი, საკუთარ თავს ინტელიგენციას რომ უწოდებდა, საბჭოთა კავშირში იდეოლოგიურად გამოწრთობილი ინტელიგენციის ფენა იყო მთავარი ბარიერი ქართული ღირებულებების დამკვიდრების გზაზე. ცნობილი გამონათქვამია, რომ ყველაზე საშიშია კოლონიზატორების მიერ გამოწვრთნილი და გამოზრდილი ელიტა. ასეთი ხალხი ორი საუკუნის წინაც და ახლაც გარკვეული პრობლემების მქონეა. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ ეს ობიექტური რეალობა და გამოვიტანოთ დასკვნა, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ შევზღუდეთ რუსული აგენტურისა და რუსული გავლენის მქონე ადამიანების საქმიანობა საქართველოში. ვერ შევძელით დამოუკიდებელი საზოგადოებრივი სივრცის შექმნა, ვერ უზრუნველვყავით ქართული ეკონომიკის ჯანსაღი განვითარება. ყველაფერს თავი დავანებოთ, 30 წლის განმავლობაში ხელისუფლებამ არ შეუწყო ხელი, რომ ევროკავშირის მიერ ჩვენთვის გამოყოფილი კვოტების სრული ათვისება მომხდარიყო. ვინც გავიდა ევროპაში, გავიდა საკუთარი, პირადი ინიციატივით. ხელისუფლებას არ შეუქმნია ისეთი გარემო, რომ ჩვენი პროდუქციის გატანის შესაძლებლობა მოგვცემოდა. თუ შეუწყო ხელი, ძალიან მინიმალურად და ისიც — საკუთარი ახლობლების ფირმებს. ამიტომ საჭიროა სწორი რეაგირება, პრობლემები ჩვენი თავიდან უნდა დავიწყოთ, ეს არ ნიშნავს, ოკუპაცია დავივიწყოთ. ჩვენი ბრალია ისიც, რომ დღეს სოციალურ თუ პოლიტიკურ სივრცეში ოკუპანტების მიმართ ნოსტალგია ჩნდება.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თუნდაც სააკაშვილის პერიოდში ისეთ პროცესებს ეძლეოდა გასაქანი, რომელიც დასავლური ღირებულებების ნიველირებას იწვევდა, ანუ დასავლური ღირებულებების სახელით ქართველი ხალხისთვის მიუღებელი ხელოვნური პროცესების წარმართვა ხდებოდა. სააკაშვილის დროს დაწყებული ეს პროცესი, რაც დღევანდელი ხელისუფლების დროსაც გაგრძელდა, მიზანმიმართულ პოლიტიკას ემსახურება, რომ საზოგადოებაში გაჩნდეს ნოსტალგია რუსეთის მიმართ.

ჩვენ არ ვუხსნით ხალხს, ოკუპაციას რა უარყოფითი პროცესები მოჰყვება. მე-19 საუკუნის ბოლოს იყო „ოხრანკის“ ხელმძღვანელი რაჩკოვსკი, რომლის მოხსენებებიც, ფაქტობრივად, რუსეთის ფედერაციის დღევანდელი საპროგრამო დოკუმენტებია. რაჩკოვსკი თავად სწერს იმპერატორს, რომ აუცილებელია, ლიბერალური ფრთაც გაძლიერდეს იმპერატორის ორგანიზების ქვეშ და საქართველოში ლიბერალური მიმართულებები გაძლიერდეს, რათა ხალხს ამ მიმართულებების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გაუჩნდეს. აქ არაფერია ახალი, ისევე, როგორც არაფერია ახალი იმაში, რომ თავის დროზე ივანე ჯავახიშვილმა აღმოაჩინა რუსეთის პირველი მინისტრის გრაფი პანინის წერილი ტოტლებენისადმი, სადაც პანინი ტოტლებენს სწერს, ქართველებს უნდა ეგონოთ, ვითომც ისინი თავად წარმართავენ პროცესებს, მაგრამ ჩვენს ჭკუაზე უნდა ვატაროთო. ეს გამოაქვეყნა ივანე ჯავახიშვილმა. დღეს ზოგიერთებს თავი მოაქვთ, ტოტლებენი იმიტომ ჩამოვიდა, საქართველო დაეცვაო, ივანე ჯავახიშვილმა კი დაადასტურა, რომ ტოტლებენი ჩამოვიდა არა საქართველოს დასახმარებლად, არამედ საქართველოს წინააღმდეგ. ზუსტად ასე იყო ვორონცოვის დროსაც.

— დაბოლოს, მაქსიმ კისილიოვის თქმით, რუს ჯარისკაცთა დამსახურებაა ისიც, რომ ისტორიული ძეგლი ვარძია, სადაც თამარ მეფე ლოცულობდა, საქართველოს დაუბრუნდა.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რუსების გარეშე მოიგო ერეკლე მეფემ ასპინძის ბრძოლა, ეს უნიკალური ბრძოლა და ვარძიის დაბრუნება არავის გაუკვირდება. ის, რაც რუსეთს საკუთარი იმპერიისთვის სჭირდებოდა, რუსეთმა განახორციელა, ხოლო, როცა რუსეთის იმპერიას მოუწია საქართველოდან გასვლა, ართვინი და სხვა ტერიტორიები თურქეთს გადასცა ლენინმა. უფრო მეტიც, ათათურქის არმიაში წითელგვარდიელები იბრძოდნენ. რუსეთს ჩვენთან არაფერი დასამადლებელი არა აქვს. უბრალოდ, რუსული პიარმანქანა მუშაობს იქ, სადაც მას წინააღმდეგობა არ ხვდება.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

საყოველთაო დაუმორჩილებლობა აფხაზეთში

ოპოზიციის მომხრეებმა ბზიფთან და ტამიშთან გზები გაღაკეტეს

ოკუპირებულ აფხაზეთში, სოხუმში, მარიონეტული რეჟიმის დე ფაქტო პარლამენტის წინ საპროტესტო აქცია მეორე დღეა გრძელდება. აქციის მონაწილეები ე.წ საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის ცვლილებას და ივლისის თვიდან შემოდგომაზე გადატანას ითხოვენ. თარიღის ცვლილება ოპოზიციის ლიდერის ასლან ბჟანიას ჯანმრთელობის მდგომარეობას უკავშირდება. ბჟანია, რომელიც ე.წ საპრეზიდენტო არჩევნებში დე ფაქტო ხელისუფლების მთავარ კონკურენტად ითვლება, ერთი თვით იქნა ჰოსპიტალიზებული, მას ვერცხლისწყლით მოწამვლა დაუდგინდა. ოპოზიცია პოლიტიკურ ტერორზე საუბრობს და ბჟანიას ჯანმრთელობის მდგომაროების მიუხედავად, არჩევნებში მისი კანდიდატურის წამოყენებას მაინც აპირებს. დე ფაქტო პარლამენტმა თარიღის ცვლილების კანონპროექტი ჩააგდო და არჩევნების თარიღად ისევ 21 ივლისი დატოვა.

მომიტინგეების ნაწილმა ღამე შენობის წინ გაათენა, მათ დილიდან ოჩამჩირიდან და გუდაუთიდანაც შემოუერთდნენ. შენობის წინ გაათენეს ღამე სამართალდამცავებმაც. ვინ ვგონივართ, ჩვენ მაინც ვიტყვით ჩვენს სათქმელს“ — აცხადებენ მომიტინგეები.

100 მლნ წლის წინანდელი ზღვის ბინადრები ქარვის ნატეხში



სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიურ ქვეყანაში, მიანმარში მოპოვებული ქარვა წარმოუდგენლად მდიდარი რესურსია 100 მილიონი წლის წინათ დედამიწაზე არსებული ბუნებრივი გარემოს შესასწავლად. ბოლო წლებში მეცნიერებმა აღმოაჩინეს ქარვაში ჩაჭედილი ბაყაყები, გველები, ლოკოკინები, ჭიანჭველები, ბუმბულებიანი ციცქნა დინოზავრები და ტკიპებიც კი. ყველა მათგანს საერთო ის აქვთ, რომ ისინი ხმელეთის ბინადარნი იყვნენ.

თუმცა ახლახან, მიანმარში ნაპოვნ ცარცული პერიოდის ქარვის პატარა ნატეხში პალეონტოლოგებმა რაღაც საკმაოდ უცნაური იპოვეს — ზღვის ბინადრები ხმელეთის ბინადართა გვერდით.

მათ შორის არის ოთხი ზღვის ლოკოკინა და ოკეანის მოლუსკი ამონიტი. მათ გვერდით არის სანაპირო ზონის იზოპოდები და პლაჟის ქვიშა.

გარდა ამისა, ქარვაში ასევე ჩაჭედილია 22 ობობა, 12 სხვადასხვა მწერი და მრავალფეხიანნი. საოცარი ის არის, რომ ყველა ეს არსება მოქცეულია 33X9,5X29 მილიმეტრის ზომის ქარვის ნატეხში. როგორც კვლევაში წერია, ქარვაში წყლის და განსაკუთრებით ზღვის ორგანიზმების პოვნა უიშვიათესია. ქარვის ეს ნატეხი ნამდვილად იდუმალია. პალეონტოლოგები ამ დრომდე ვერ ადგენენ მის ზუსტ ასაკს.

ნატეხი ვულკანურ ქანებში იპოვეს. ამ ქანებში არსებული თუთიის ურანით დათარიღების შედეგად ირკვევა, რომ ისინი მაქსიმუმ 98,8 მილიონი წლისაა. თუმცა, ქარვის ზემოთ არსებულ ქვიშაქვის ფენაში ნაპოვნია განმარხებული მოლუსკი ამონიტი, რომელიც დედამიწაზე 113 მილიონი წლის წინათ გაჩნდა და უკვე გადაშენებული იყო 100,5 მილიონი წლის წინათ.

შესაძლებელია, რომ ქარვა იმ ქანებზე ძველი იყოს, რომელშიც იპოვეს, ანუ მისი ასაკი 113 მილიონ წელზე მეტია.

საბედნიეროდ, გაცილებით მარტივია იმის გარკვევა, თუ როგორ აღმოჩნდა ასეთ პატარა ნატეხში ერთად თავმოყრილი ამდენი სხვადასხვა არსება.

ამონიტებისა და ზღვის გასტროპოდების ნიჟარები ცოტა გაცვეთილია, ამოვსებულია ქვიშით, მოტეხილია ნიჟარის დიდი ნაწილი. არსად შეიმჩნევა მათი რბილი ქსოვილებიც.

დიდი ალბათობით, მცენარეების ფისი, რომლისგანაც ქარვა წარმოიქმნება, წყალში ჩაძირვის შედეგად არ არის გამყარებული. შესაბამისად, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ფისი წყალში ჩავიდა და ცხოველები მასში ამ გზით ჩაეწებნენ.

გამომდინარე აქედან, პალეონტოლოგებმა დაასკვნეს, რომ ქარვაში ზღვის უკვე მკვდარი არსებები ჩაეწებნენ, კონკრეტულად კი ტალღების მიერ პლაჟზე გამორიყული ნიჟარები.

კვლევაში წერია, რომ სანაპიროსთან ახლოს იზრდებოდა ტყე, შესაძლოა, ზედ პლაჟზეც, რომლის ხეების ფისისგანაც ქარვა წარმოიქმნებოდა.

ხეების წვენი პლაჟზე ეცემოდა, რომელშიც ეწებებოდნენ ხმელეთის ანთროპოდები და ტალღების მიერ გამორიყული ნიჟარები. გაქვავებული ქარვა თანდათან ქვიშაქვის ქანებმა დაფარა. სწორედ ამ გზით შემორჩნენ ეს უძველესი, განმარხებული არსებები ისტორიას მილიონობით წლის განმავლობაში.

ჟურნალი „PNAS“, მომზადებულია pnas.org-ისა და ScienceAlert-ის მიხედვით.

ყვითელი მინის ქვების წარმოშობის საიდუმლო ამოხსნილია

მსოფლიოს ზოგიერთ უდაბნოში ნაპოვნი უცნაურად ყვითელი, ეგზოტიკური მინის წარმოშობის საიდუმლო ამოხსნილია. ისინი დედამიწაზე დაახლოებით 30 მილიონი წლის წინათ გაჩნდა.

მინის ეს ქვები მოიპოვება ლიბიის უდაბნოში — საჰარის უდაბნოს აღმოსავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთ ლიბიასა და დასავლეთ ეგვიპტეში. უიშვიათესი ყვითელი შეფერილობის გამო, მას დეკორატიული მიზნებისთვის იყენებდნენ ჯერ კიდევ ფარაონ ტუტანხამონის დროს. აქამდე ცნობილი იყო, რომ ეს უცნაური მინა წარმოქმნილია დაახლოებით 30 მილიონი წლის წინათ, მაგრამ უცნობი რჩებოდა, რა ძალებმა განაპირობა დედამიწაზე ამ ნივთიერების წარმოქმნა. დომინირებდა ორი ძირითადი ჰიპოთეზა. ავსტრალიის კურტინის უნივერსიტეტის გეოლოგისა და პლანეტური მეცნიერის, **აარონ კავოსის** განცხადებით, მეცნიერები განიხილავდნენ, ეს მინა საჰაერო აფეთქებების შედეგად იყო წარმოქმნილი თუ მეტეორიტების დაცემის შედეგად. როგორც კავოსი აცხადებს, წინა მოდელები მიუთითებდა, რომ ლიბიის უდაბნოს მინა უნდა წარმოქმნილიყო ისეთი საჰაერო აფეთქებების შედეგად, როგორიც 2013 წელს, ქალაქ ჩელიაბინსკის თავზე მოხდა ატმოსფეროში კოსმოსური ნამტვრევის შემოჭრის შედეგად.

თუმცა, ახალი კვლევა სულ სხვა რამეზე მიუთითებს. კავოსიმ შეისწავლა ლიბიის უდაბნოს მინებში ჩაჭედილი მინერალის, ცირკონის პატარა მარცვლები. ანალიზებმა გამოავლინა კიდევ ერთი მინერალის, რეიდიტის კვალი, რომელიც წარმოიქმნება მაღალი წნევის პირობებში, მაგრამ არა საჰაერო აფეთქებების, არამედ მეტეორიტთა დაცემის შედეგად.

კავოსის თქმით, დნობის გამოწვევა საჰაერო აფეთქებებსაც შეუძლია და მეტეორიტების დაცემასაც, მაგრამ მხოლოდ მეტეორიტთა დაცემა წარმოშობს იმ შოკურ ტალღებს, რომელიც მაღალი წნევის მინერალებს წარმოქმნის. შესაბამისად, მინერალ რეიდიტის პოვნა ადასტურებს, რომ ეს მინა მეტეორიტების დაცემის შედეგად არის წარმოქმნილი.

კვლევის მიხედვით, რეიდიტის აღმოჩენა ამ მინის წარმოქმნის შესახებ მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის. მაგალითად, გვთავაზობს გეოლოგიურ ჩანაწერებს, თუ რამდენად ხშირად ცვიოდა დედამიწაზე ეს მეტეორიტები. აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე არ მოგვეპოვება საჰაერო აფეთქებათა შედეგად ბოლო 5 მილიონი წლის განმავლობაში წარმოქმნილი დეპოზიტები.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ლიბიის უდაბნოს მინის წარმოქმნა მხოლოდ უიშვიათეს მოვლენას (მეტეორიტების დაცემა) შეუძლია, ისღა დაგვრჩენია, იმედი გვქონდეს, რომ უახლოეს მომავალში მისი ხელახლა წარმოქმნის მომსწრე არ გავხდებით. მეტეორიტების დაცემა კატასტროფული მოვლენაა, მაგრამ საკმაოდ იშვიათი. რაც შეეხება საჰაერო აფეთქებებს, ისინი უფრო ხშირად ხდება, მაგრამ ძირითადად უსაფრთხოა.

ჟურნალი „Geolog“, მომზადებულია curtin.edu.au-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.

თეთრყელა ფრინველი, რომელიც ევოლუციამ ორჯერ წარმოშვა

ბუნებაში ხშირად რაღაც მეორდება იმისთვის, რომ შედეგი უკეთესი იყოს. სწორედ ასეთი საჩუქარი გაუკეთა დედაბუნებამ ერთი უწყინარ ფრინველს, თეთრყელა ლაინას (Dryolimnas cuvieri).

ინდოეთის ოკეანეში მდებარე ერთ ციცქნა კუნძულ (ატოლი) ალდაბრაზე მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ფრინველის ერთმა სახეობამ ფრენის უნარი ორი სხვადასხვა გარემოების გამო დაკარგა.

ათობით ათასი წლის წინათ, ამ უშიშარი სახეობის წარმომადგენლები თავიანთი სამშობლოდან მადაგასკარიდან სეიშელის კუნძულებისაკენ რგოლის ფორმის ატოლზე გაიქცნენ. ახალი სამშობლო მათთვის ნამდვილი სამოთხე აღმოჩნდა, ადვილად მოიპოვებდნენ საკვებს და შეუფერხებლად მრავლდებოდნენ; შესაბამისად, მავრიკიზე ერთ დროს გავრცელებულ ფრინველ დოდოს მსგავსად, ეს სახეობაც ფრენის უუნარო გახდა. ალბათ, ერთადერთი, რასაც ეს ფრინველები არ მოელოდნენ, დიდი ტალღები იყო. დაახლოებით 136 000 წლის წინათ ალდაბრას ატოლი გიგანტურმა ტალღებმა შთანთქა; გაქრა ფრენის უუნარო ფრინველი ლაინაც.

დაახლოებით 36 000 წლის შემდეგ, როდესაც ატოლის ზედაპირი წყლიდან კვლავ მაღლა ამოვიდა, ყველაფერი თავიდან დაიწყო. სულ მალე იგივე ფრინველები მადაგასკარიდან ისევ ალდაბრასკენ გაიქცნენ და წარმოშვეს ფრენის უუნარო ფრინველთა კიდევ ერთი სახეობა, რომელიც ამ კუნძულზე დღემდე არსებობს (Dryolimnas cuvieri aldabranus).

ეს გახლავთ პირველი შემთხვევა, როცა მეცნიერებმა ასეთი ფაქტი აღმოაჩინეს არა მხოლოდ ლაინას, არამედ, ზოგადად, ფრინველებში.

როგორც ავტორები კვლევაში წერენ, ალდაბრას უძველესი პალეონტოლოგიური ჩანაწერები გააჩნია ინდოეთის ოკეანის ყველა სხვა კუნძულს შორის, — აღმოჩენილია ნამარხი, რომელიც აჩვენებს ზღვის დონის ცვლილების გავლენას გადაშენებისა და რეკოლონიზაციის მოვლენებზე.

კვლევის მიხედვით, ალდაბრაზე არსებულმა გარემო პირობებმა, ძირითადად კი ხმელეთის მტაცებლებისა და კონკურენტი ძუძუმწოვრების არარსებობამ, თეთრყელა ლაინა ორჯერ გახადა ფრენის უუნარო.

დაუჯერებლად ჟღერს, მაგრამ მკვლევართა განცხადებით, მტკიცებულებები უდავოა. ალდაბრას დატბორვამდელი და შემდგომი პერიოდის ნამარხი ძვლების შედარების შედეგად მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ფრთის ძვლები თანდათან ფრენისთვის გამოუსადეგარი გახდა, წვივის ძვლები კი — მეტი წონისთვის მორგებული.

ავტორთა განცხადებით, ნამარხები ადასტურებს, რომ ლაინები შეუპოვრად ცდილობდნენ კოლონიზაციას მადაგასკარის ირგვლივ არსებულ კუნძულებზე, რასაც წარმატებითაც ახერხებდნენ კიდეც. იზოლირებულ კუნძულებზე გადასახლების შემდეგ კი ამ ფრინველებმა ფრენის უნარი მრავალჯერ დაკარგეს.

Zoological Journal of the Linnean Society

მომზადებულია ScienceDaily-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.

გვერდი მომზადდა მიხეილ ჭაბუკაშვილის მასალების მიხედვით

◎ სუმო

ერთი მოგება სჭირდება

იაპონიაში გრძელდება სუმოისტთა მაისის დიდი ტურნირი — ნაცუ ბაშო. გუშინ ასპარეზობის მე-10 დღეს მეცხრე გა-

მარჯვება იზეიმა ქართველმა გოლიათმა ლევან გორგოძემ, რომელსაც სუმოს სამყარო ტოჩინოშინად იცნობს. ჩვენებურმა იოლად სძლია იაპონელ კომოსუბ მიტაკეუმს — იორიკირით გადაიყვანა დოჰიოდან. გორგოძეს ახლა ოძეკის ტიტულის დასაბრუნებლად ერთი გამარჯვებაღა სჭირდება, რაც მისთვის, დარწმუნებული ვართ, პრობლემა არ იქნება, მით უმეტეს, რომ დღეს ქართველ სუმოისტს მეოთხე მაეგაშირა აბი დაუპირისპირდება — აქამდე სამჯერ ჰყავს დამარცხებული.

ტოჩინოშინის ამჟამინდელ მომზადების დონეს და 10 დღის შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, მას ჩემპიონობისთვის ბრძოლაც ხელეწიფება — ლევანი ცხრა მოგებით ასანოიამასთან ერთად ლიდერობს.

გივი გაგუა

◎ ხელგურთი

„აჭარა“, „პეგასი“, „ოქროს საწმისი“

დამთავრდა 15-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს 2018-2019 წლების ჩემპიონატი, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობდა. ერთწრიან შეჯიბრებაში ყველას „აჭარამ“ აჯობა, რომელმაც თერთმეტივე შეხვედრა მოიგო და ჩემპიონობა მოიპოვა. ბოლო ტურში ზღვისპირელებმა თბილისის „პეგასს“ მოუგეს. ამ უკანასკნელმა 18 ქულით ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ამდენივე ქულას მოუყარა თავი ფოთის „ოქროს ვერძმა“, რომელმაც დედაქალაქელებთან პირად შეხვედრაში უარესი ბალანსით მე-3 ადგილი დაიკავა.

ბოლო ტური. „ზუგდიდი“ — „ქარიშხალა“ 8:5, „ფოთი“ — „პეგასი“ 8:10, „ზუგდიდი“ — „რუსთავი“ 13:3, „აჭარა“ — „ქარიშხალა“ 14:3, „ქუთაისი“ — „რუსთავი“ 9:7, „ფოთი“ — „ქარიშხალა“ 13:3, „აჭარა“ — „პეგასი“ 21:11.

გათამაშების ცხრილი: „აჭარა“ — 22 (220:74), „პეგასი“ — 18 (122:90), „ფოთი“ — 18 (131:78), „ზუგდიდი“ — 16 (124:84), „ქუთაისი“ — 14 (117:88), „სამტრედია“ — 11 (118:128), „ქარიშხალა“ — 10 (95:117), „ბათუმი“ — 9 (109:123), „წყალტუბო“ — 8 (109:120), „რუსთავი“ — 4 (85:125), „სენაკი“ — 2 (61:140), „გორი“ — 0 (47:171) ქულა.

22-23 მაისს თბილისის სპორტის სასახლე საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ქალ-ვაჟთა ფინალური ოთხეულების ნახევარფინალებსა და საჩემპიონო პაექრობებს უმასპინძლებს.

ლაშა დიდია

ჩემპიონი „აჭარა“

◎ ბატუტზე ხტომა

ფავორიტებს ეროვნულში არ უასპარეზიათ

შპს სპორტმშენსერვისის „ტანვარჯიშის არენაში“ ბატუტზე მხტომელთა საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა, რომელსაც 50 წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. შეჯიბრებაში თბილისის, ბათუმის, მარნეულის, გორის, ხაშურის, ქუთაისისა და რუსთავის 110 წარმომადგენელი ჩაება. მედლებისთვის პაექრობაში არ მონაწილეობდნენ ფავორიტები — ლუბა გოლოვინა, თეონა ჯანჯღავა და თენგიზ კოშკაძე, რომლებიც მინსკში გასამართავი მეორე ევროპული თამაშებისთვის ინდივიდუალურად ემზადებიან.

ასაკების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: სპორტის ოსტატის პროგრამით — **მარიამ რაგიმოვი** (53.600) და **გიორგი ნაცვლიშვილი** (48.540), ოსტატობის კანდიდატის პროგრამით — **მარიამ სულთანოვა** (94.420) და **იოსებ სიმსივე** (90.230), პირველი თანრიგით — **ქეთევან ჯანჯღავა** (ბათუმი, 82.540) და **ლუკა ლომთათიძე** (80.340); უმცროს ასკში — **მარიამ სულაშვილი** (82.630 ქულა) და **ლუკა ლომთათიძე** (82.140), **თეკლა ჩაჩავა** (ბათუმი, 86.530) და **გიორგი სიხარულიძე** (82.910), **მარიამ გაბრიაძე** (83.990) და **მიქაელ ქარქუზაშვილი** (74.440), **თამარ დელიბაშვილი** (57.800) და **ტარას შამრუკი** (57.300); სინქრონულ ხტომებში — **ანანო აფაქიძე, სოფიო დაშნიანი** (62.300) და **თამაზ ლომსაძე, იოსებ სიმსივე** (57.400).

ლექსო ცინცაძე

◎ რაინდი რაინდთა შორის...

ლომაძის ლომის წილი

მას შემდეგ 61 წელი გავიდა: თბილისის „ბურევესტნიკს“ კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დარჩენის მინიმალური შანსი რჩებოდა. ბოლოსწინა მატჩი ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ და საბჭოთა კავშირის ჩემპიონ რიგის არმიელებთან ჰქონდა. ბალტიისპირელები, რომელთა შემადგენლობაშიც საბჭოთა კალათბურთის ვარსკვლავები — ვალდმანისი, კალნინში, კრუმინში, მუიჟნიეკსი და გულბისი ბრწყინავდნენ, ცხადია, თბილისში აუტსაიდერთან 2 ქულას გეგმავდნენ. მასპინძელთა გუნდის ღირსებას ასტამურ აჩბა, თამაზ კაკაურიძე, ლევან მოსეშვილი, ანზორ ლეჟავა და ვალერი ლომაძე იცავდნენ. „ბურევესტნიკმა“ იმ დღეს შესანიშნავად ითამაშა და, ყველას გასაოცრად, მრისხანე მეტოქეს 77:75 სძლია. ბოლო პაექრობაში მან სვერდლოვსკის „ურალმაში“ დაამარცხა და უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა. ორივე წარმატებაში ლომის წილი ლომაძემ დაიდო.

სასპორტო კარიერა მძლეოსნობით დაიწყო — თანაკლასელებთან ერთად ცნობილ მწვრთნელ ბორის ტახტაროვთან მეცადინეობდა. მოქნილი, სხარტი ყმაწვილი სხვადასხვა დისტანციებზე რბენასა და სიმაღლეზე ხტომაში ჯაბნიდა თანატოლებს. საქალაქო შეჯიბრებებშიც რამდენჯერმე გაიმარჯვა. 1953 წელს თბილისში კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატს დაეწრო და „პროფილი“ შეიცვალა — პიონერთა სასახლეში თამარ გეგელაშვილთან კალათბურთის სექციაში ჩაეწერა. ერთი წლის შემდეგ მიხეილ კეკელიძემ ქალაქის განათლების განყოფილების გუნდში გადაიყვანა. 1955 წელს საქართველოს ნაკრებთან ერთად კიევში გამართულ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე მე-3 ადგილი დაიკავა. მომდევნო წელს ქართველებმა მსგავსი შეჯიბრების მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმეს ლატვიელებთან და ვერცხლის მედალს დასჯერდნენ...

თბილისის 24-ე სკოლა ვერცხლის მედალზე დაამთავრა და მისაღები გამოცდები საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩააბარა, თან ამავე სასწავლებლის კალათბურთელთა გუნდ „ბურევესტნიკში“ ჩაირიცხა. პირველი მკაცრი გამოცდა კაუნასის „ჟალგირისთან“ მატჩში ჩააბარა: სტუდენტთა გუნდის ახალბედა მოთამაშემ ღირსეულად „ჩაკეტა“ ბალტიისპირელთა ცნობილი ვარსკვლავი კაზის პეტკიავიჩუსი. გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ ეს ამბავი მთელ ქვეყანას ამცნო.

ოთხი წელიწადი იცავდა ვალერი ლომაძე თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდის ღირსებას. 1961 წელს საბჭოთა კავშირის 25 საუკეთესო კალათბურთელს შორის დაასახელეს, მომდევნო წელს კი ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს. აქაც 4 წელიწადი დაჰყო. 1963 და 1965 წლებში სოციალისტური ქვეყნების დინამიადის ჩემპიონი გახდა კრაკოვსა და პარდუბიცეში.

— 1966 წელს დიდი სპორტისთვის თავის დანებებას ვაპირებდი, - იხსენებს ნახევარი საუკუნის წინანდელ ამბებს ბატონი ვალერი. — ძია მიშამ (კეკელიძე) მთხოვა, დაგვეხმარეო. მაშინ „ბურევესტნიკი“ უმაღლესი ლიგაში დაბრუნებას ცდილობდა. გადასასვლელი ტურნირი ბაქოში გაიმართა, სადაც ბოლო მატჩში ალმა-ათის „ლოკომოტივს“ ვძლიეთ.

აი, რას წერდა გაზეთი „ლელო“ 1966 წლის 5 აპრილს: „თბილისელები უმთავრესად ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ა. ლეჟავა, მინაშვილი, ი. ლეჟავა, ლომაძე, კოვალენკო. 34-ე წამზე ანგარიში გახსნა ლომაძემ და გაჩაღდა მეტისმეტად მწვავე ბრძოლა... გამარჯვება თბილისელებს დარჩათ — 60:51. ამრიგად, თბილისის „ბურევესტნიკი“ დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას“.

დიდ სარბიელთან განშორების შემდეგ პროფესიით დაიწყო მუშაობა — საქართველოში სასპორტო ნაგებობების მშენებლობას შეალია ძალა და ენერგია. 27 წლის განმავლობაში ემსახურებოდა სპორტის მატერიალური ბაზის განვითარებას. ჯერ საქართველოს სპორტკომიტეტთან არსებულ სასპორტო ნაგებობათა სამმართველოს ხელმძღვანელობდა, ხოლო შემდეგ საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეობისას უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით უამრავი ობიექტი აშენდა და შეკეთდა კაპიტალურად. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ძიუდოს დარბაზი, მძლეოსნობის მანეჟი 70-ადგილიანი საცხოვრებლით ვაკეში, კალათბურთის ორი დარბაზი ვერის ბაღში, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებისთვის საერთო საცხოვრებელი ვაკეში, თბილისის ველოტრეკი და ჭადრაკის სასახლე, წყალჯომარდობის ბაზა ფოთში 70-ადგილიანი საერთო საცხოვრებლითა და სასადილოთი, მდინარე კაპარჭაზე სამსაჯო კოშკისა და 500-ადგილიანი ტრიბუნების მოწყობა; სენაკის, ხაშურისა და ბორჯომის სტადიონების რეკონსტრუქცია; ლანჩხუთში ახალი სტადიონის აშენება და სოფელ გრიგოლეთში ფეხბურთელთა საწვრთნელი ბაზის რეკონსტრუქცია; ბაკურიანში 40-მეტრიანი ტრამპლინისა და საციგაო ტრასის აშენება, 70 და 90-მეტრიანი ტრამპლინების რეკონსტრუქცია, ტრამპლინებთან საბაგირო გზის მონტაჟი, ბიატლონისტებისთვის ტრასისა და სასროლეთის მოწყობა; 1991 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის ფოთში წყალსათხილამურო ბაზის კეთილმოწყობა და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი რამ.



ვალერი ლომაძე 10 წლის განმავლობაში თბილისის სპორტის სასახლის გენერალური დირექტორი გახლდათ, ამჟამად კი ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდის პრეზიდენტია.

ამაგდარ პიროვნებას, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს, სტუდენტთა საკავშირო თამაშების სამგზის გამარჯვებულს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, საბჭოთა კავშირის სპორტის წარჩინებულ მუშაკს, ღირსების ორდენოსანსა და სპორტის რაინდს ვალერი ლომაძეს დღეს 80 წელი უსრულდება.

იუბილეს გილოცავთ, ბატონო ვალერი!

ვაჟა დანელია

მერაბ კოსტავას საიუბილეო გამოფენა

22 მაისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში გაიხსნება მერაბ კოსტავას საიუბილეო გამოფენა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის მერაბ კოსტავას დაბადებიდან 80 წელი სრულდება. ექსპოზიცია სწორედ ამ თარიღს ეძღვნება.

საგამოფენო პავილიონში წარმოდგენილი იქნება მერაბ კოსტავას პირადი არქივი, კერძო კოლექციებსა და საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული საარქივო მასალა და ფოტოები.

დოკუმენტები ფართო საზოგადოებას პირველად წარედგინება. ექსპონატები ასახავს მერაბ კოსტავას პოლიტიკურ და შემოქმედებით მოღვაწეობას.

მერაბ კოსტავას პირადი არქივის მასალები ეროვნულ არქივს მისმა მეუღლემ რუსუდან ბერიძემ გადასცა.

აღსანიშნავია, რომ გამოფენასთან ერთად, 23 მაისს, 18:00 საათზე ეროვნული არქივის კინოთეატრში დაგეგმილია მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი რეჟისორ გოგა ხაინდრავას დოკუმენტური ფილმის „კართაგენი უნდა დაინგრეს!“ ჩვენება.

კახეთში მევენახეთა პირველი კონფერენცია გაიმართა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთში მევენახეთა კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაში მონაწილეობა რეგიონის მეღვინეებმა, მევენახეებმა და დარგის სპეციალისტებმა მიიღეს.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა, პროექტის ინიციატორმა, გურჯაანის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით სონღულაშვილმა, ახმეტისა და თელავის მაჟორიტარმა დეპუტატმა გელა სამხარაულმა და კახეთის მხარის რწმუნებულმა ირაკლი ქადაგიშვილმა მიმართეს.

„წელს მევენახეთა კონფერენცია პირველად იმართება. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ღონისძიება შუაგულ კახეთში ტარდება და მონაწილეობას ჩვენი მევენახეები, მეღვინეები, ფერმერები და დარგით დაინტერესებული პირები იღებენ. მათ ყველაზე კარგად იციან სექტორში არსებული გამოწვევები. გასულ წელს 85 მლნ ბოთლზე მეტი ექსპორტი განხორციელდა, ბოლო 4 წლის განმავლობაში კახეთში ახალი ვენახები 7 000 ჰექტარზეა გაშენებული. ეს არის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მიმართულებით განხორციელებული მხარდამჭერი პროექტების შედეგი“, — განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

კონფერენციის დასასრულს თითოეულ მონაწილეს სერტიფიკატი გადაეცა.

სეტყვის საწინააღმდეგო სისტემამ კახეთის შვიდ რაიონში კარგად იმუშავა

ბუნებრივ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფი სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის, მართვის ცენტრის მიერ 19 და 20 მაისს კახეთის რეგიონში 1600 კვადრატულ კილომეტრამდე საერთო ფართობის სეტყვასაშიში ღრუბლის მასები დამუშავდა, აქტიური ზემოქმედება მიმდინარეობდა შეზღუდვების ფონზე, რაც გამოწვეული იყო ცაში არსებული მაღალი საჰაერო ტრაფიკის გამო, 19 და 20 მაისს მთელი დღის განმავლობაში ჩრდილოდასავლეთის და სამხრეთდასავლეთის მიმართულებიდან რეგიონში რამდენიმე განსაკუთრებით სეტყვასაშიში ღრუბლის ფრონტალური მასა შემოვიდა.

სეტყვის მოსვლის ალბათობამ 100% შეადგინა, ხოლო სეტყვის მარცვლის ზომა 20მმ აჭარბებდა, ახმეტის, საგარეჯოს, გურჯაანის, ლაგოდეხის, სიღნაღის, თელავის და დედოფლისწყაროს რაიონებში ღრუბლები რამდენიმე ეტაპად დამუშავდა. გასროლილი იქნა 340 ერთეულამდე რაკეტა.

აქტიური ზემოქმედების შედეგად განადგურებისგან დაცული იქნა 180 000ჰა ფართობის სავარგულები.

გახსენება

ინეზა ფარცვანია-შონიასა და ვახტანგ შონიას მონატრება



ჩვენო დაო ინეზა და სიძევ ვახტანგ, ძალიან მიჭირს თქვენი მოსაგონარის წერა, რადგან ვერ წარმოვიდგენდი, რომ მე, უფროს დას მომიწევდა ამის გაკეთება.

ინეზა და ვახტანგ, ჩვენო გაუსაძლისო ტკივილო და უსაშველო მონატრებავ, მაისის თვე თქვენი დაბადების თვეა.

2 წელი გავიდა, რაც შენ დაგვტოვე ინეზა და 27 წელი ჩვენო ვახტანგ, თვალზე ცრემლშეუშრობი უფროსი დები, შვილი, რძალი, შვილიშვილი, დედმამიშვილები.

ძალიან ადრე წახვედით ჩვენგან, ჩვენო ნაბოლარა დაიკო და 1992 წელს გაგრის ტრაგედიასა და უფროსი ვაჟის ელგუჯას უგზო-უკვლოდ დაკარგვას შეწირულო სიძევ ვახტანგ.

ორივე ცოლ-ქმარი იყავით საოცრად კეთილშობილი, სულიერად მდიდარი და ამაღლებულები. თქვენი ვაჟი რამაზი ხშირად სტუმრობს უნიკალურად განაშენიანებულ ბაღს და ოდესღაც ლამაზ სახლ-კარს მშობლიურ ორსანტიაში, სიყვარულით და დიდი გულისტკივილით ეფერება შონიების საამაყო საგვარეულო სოფელს.

მაისის ამ ლამაზ თვეს მივალთ ინეზას საფლავთან და ყველას დაგინთებთ წმიდა სანთლებს იმ იმედით, რომ ახლო მომავალში ძმების ვახტანგ და აბელ შონიების ნეშტებსაც გაგრიდან გადმოვასვენებთ თბილისში.

ინეზა და ვახტანგ, იყავით ზეცით თქვენი გვარისა და ოჯახის მფარველად.

დეგი ზაირა და იზოლდა ფარცვანეიბი ოჯახებით.

ყალბისმქმნელები ამჯერადაც გამოიჭირეს

საგამოძიებო სამსახურმა ჯგუფურად ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თანამზრახველებთან ერთად უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, სოციალურად დაუცველი და სხვადასხვა მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის ნასამართლევი პირების სახელზე, სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, საქართველოს მასშტაბით დაარეგისტრირა 10-ზე მეტი საწარმო, რომელთა საშუალებითაც ახორციელებდა ჯართის ფიქტიურ შესყიდვებს და გაწერებს, რა დროსაც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდებოდა დამატებული ღირებულების გადასახადის უკანონო ჩათვლების მიღება, რომლითაც შემდგომში იფარებოდა ბიუჯეტის მიმართ წარმოშობილი ვალდებულებები.

23 640 ლარის უკანონოდ ნიშანდებული საქონელი გამოავლინეს

თბილისში მდებარე ერთ-ერთ ობიექტში განხორციელდა ინვენტარიზაცია და საკონტროლო შესყიდვა. საკონტროლო შესყიდვის დროს 11 970 ლარის ღირებულების საქონელზე არ იქნა გამოყენებული საკონტროლო სალარო აპარატი და არ გამოიწერა ტრანსპორტირების სასაქონლო ზედნადები. შესაბამისად, მეწარმეს შეეფარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სანქცია. ამასთანავე, ინვენტარიზაციის პროცედურის დროს ობიექტში ფაქტობრივად აღირიცხა 23 640 ლარის ღირებულების საქონელი, რომელიც საქართველოში „Massimo Dutti“-ის წარმომადგენლის დასკვნის საფუძველზე, აღმოჩნდა სხვისი სასაქონლო ნიშნით უკანონოდ ნიშანდებული.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი კონტრაფაქციული საქონელი ამოღებული იქნა სამოქალაქო ბრუნვიდან, ხოლო, საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა.

საბავშვო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი

29 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით თბილისი უკვე მეცხრედ უმასპინძლებს საბავშვო ფილმების საერთაშორისო ფესტივალს. „ოქროს პეპელა“ 2011 წლიდან იმართება. პროექტის მიზანია, აღმოაჩინოს, წაახალისოს და საზოგადოებას გააცნოს კინოხელოვნების მოყვარული ნიჭიერი ბავშვები და მათი შემოქმედება. აგრეთვე, გამარჯვებულები წარადგინოს საერთაშორისო კინოფორუმებსა და ფესტივალებზე.

ფესტივალის მონაწილეები არიან 18 წლამდე ასაკის მოზარდები, როგორც საქართველოდან, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. მონაწილეები ფესტივალის საკონკურსო და არასაკონკურსო პროგრამაში წარადგენენ დამოუკიდებლად შექმნილ 7 წუთამდე ქრონომეტრაჟის ანიმაციურ, დოკუმენტურ ან მხატვრულ ფილმებს.

წელს „ოქროს პეპელას“ ისტორიაში უცხოური ფილმების რეკორდული რიცხვი დაფიქსირდა . სულ ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება 92 ფილმი, აქედან 47 უცხოური და 45 ქართული. ფილმებს პროფესიონალებისგან შემდგარი ჟიური შეაფასებს, რომელსაც კინოკრიტიკოსი ლუდმილა საენკოვა-მელნიცკაია (ბელარუსი) უხელმძღვანელებს.

ფესტივალის ორგანიზატორები არიან თბილისის ევროპული სკოლა და კომპანია „ოქროს პეპელა“, ხოლო მხარდამჭერები — ევროპის საბავშვო ფილმების ასოციაცია, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, ქალაქ თბილისის მერია, კინოსტუდია „ქართული ფილმი“ და სხვა.

რა უნდა გქონდეთ თან, რათა ფრენა ნაკლებად სტრესული იყოს?

ექსპერტებმა დაასახელეს ნივთები, რომელიც ავიამგზავრებმა ფრენისას თან უნდა იქონიონ. რაც, თავის მხრივ, მათ მოგზაურობის დროს სტრესისგან თავის დაღწევაში დაეხმარება. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას Daily Star-ი ავრცელებს.

ბრიტანელი მოგზაურობის სპეციალისტები აცხადებენ, რომ ბევრი ავიაკომპანიის ჩახლართული საბარგო პოლიტიკა, ხელბარგთან დაკავშირებით ხშირად სტრესს იწვევს.

თუმცა არსებობს ერთი რამ, რაც ფრენის დროს ნერვული აშლილობისგან გიხსნით. საუბარია ჩვეულებრივ ზურგჩანთაზე. ექსპერტების მოსაზრებით ზურგჩანთით გადაადგილება მეტად მარტივი, ,კომფორტული და, რაც მთავარია, ასეთი ტიპის ჩანთა მოგზაურობაში მეტად მოქნილი და ხელსაყრელია.

კემპინგური ატრიბუტიკის მიმწოდებელი კომპანია Outdoor World Direct-ის წარმომადგენელი დევიდ სკოტლანდი აცხადებს, რომ ზოგიერთი ავიაკომპანია მგზავრს აიძულებს, რომ პატარა ჩემოდანი ბარგში ჩააბაროს, იმიტომ რომ მისი ზომა მცირედით სცდება კომპანიის მიერ დაწესებულ ნორმებს. ეს კი ნიშნავს, რომ ჩაფრენის შემდეგ მგზავრს ბარგისთვის ლოდინი მოუწევს, რაც შეიძლება მას გათვლილი არ ქონდეს. დიდი ალბათობით მგზავრი ყურადღებას არ მიიქცევს თუ კი მას ზურგჩანთა ექნება. ხელბარგად ზურგჩანთის გამოყენება ნიშნავს იმას, რომ მას დიდი ალბათობით არ მოსთხოვენ მის ჩაბარებას.

ექსპერტები მგზავრებს რეკომენდაციას აძლევენ ასევე, რომ თან იქონიონ ქურთუკი დიდი ჯიბეებით, სადაც სხვადასხვა ნივთების ჩადება იქნება შესაძლებელი.

არსებობს ექსპერტების მიერ შედგენილი TOP-10 ნივთების ნუსხა, რომელიც ყოველთვის თან უნდა გქონდეთ ბორტზე. ესაა დოკუმენტები, ძვირფასეულობა, ფული, საბანკო ბარათები. ამ ნივთების ქონით თავიდან აიცილებთ სხვადასხვა გართულებებს, რაც შეიძლება თან ახლდეს ბარგის დაგვიანებას ან ქურდობას. ასევე, თვითმფრინავში აიტანეთ ყველა საჭირო წამალი, ტელეფონი, კისრისბალიში ან ჩვეულებრივი გასაბერი პატარა ბალიში, სველი ხელსახოცი, კბილის პასტა და ჯაგრისი და ასევე თბილი სამოსი.

ევროვიზიის ჟიურის ხუთივე წევრს რუსეთის წარმომადგენელი ბოლო, 26-ე პოზიციით შეუფასებია

ხმის მიცემის შესახებ დეტალური ინფორმაცია ევროვიზიის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა. რუსეთის წარმომადგენელმა სერგეი ლაზარევმა სოციალურ ქსელში შედეგებთან დაკავშირებით ჟიურის ერთიანი პოზიცია გააპროტესტა.

შეგახსენებთ, რომ ქართველი მომღერალი თამთა გოდუაძე ევროვიზიის კონკურსში კვიპროსის სახელით მონაწილეობდა. მან ფინალურ შოუში, საქართველოდან უმაღლესი 12 ქულა მაყურებელთა ხმებით, ხოლო 6 ქულა ჟიურის შეფასებით მიიღო. ევროვიზია 2019-ის ჟიურის წევრები წელს: ხათუნა კობერიძე, ლადო ტატიშვილი, მარიკო ლეჟავა, ბორის შხიანი და ლევან აბშილავა იყვნენ.

ფინალური კონკურსის შემდეგ უამრავმა ადამიანმა გამოხატა უკმაყოფილება ქართველი მომღერლის 6 ქულით შეფასების გამო. ამასთან დაკავშირებით ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა მარიკო ლეჟავამ სოციალურ ქსელში პოსტი გაავრცელა, სადაც შეფასებასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია განმარტა.

საქართველოს ევროფესტივალზე ოთო ნემსაძე წარადგენდა. პირველი ნახევარფინალური გამოსვლის შემდეგ ოთო ნემსაძე კონკურსს გამოეთიშა. მხოლოდ 10 ქვეყანა გადავიდა ფინალურ ეტაპზე, მათ შორის ქართველი თამთა გოდუაძე, რომელიც კვიპროსს წარადგენდა. საქართველომ პირველ ნახევარფინალში მე-14 ადგილი დაიკავა.

ევროვიზია 2019-ის მასპინძელი წელს ისრაელი იყო.

ქალაქები, სადაც ყველაზე მაღალი ხელფასებია

აშშ-ში ქალაქი სან-ფრანცისკო პირველ ადგილზე გავიდა ხელფასების მოცულობით. გამოცემა Bloomberg-ის გამოკითხვით, სან-ფრანცისკოში მსოფლიოში ყველაზე მაღალი ხელფასებია. მეორე ადგილზეა შვეიცარიის ქალაქი ციურიხი, ხოლო მესამეზე ნიუ-იორკი.

გამოცემის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად სან-ფრანცისკოში საშუალო ხელფასია $6,5 ათასი, ციურიხში $5,9 ათასი, ხოლო ნიუ-იორკში $4,6 ათასი.

ყველაზე მაღალანაზღაურებადი ქალაქების რეიტინგში შევიდა ბოსტონი, ჩიკაგო, სიდნეი, ოსლო, კოპენჰაგენი, მელბურნი და ლონდონი.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7470; ევრო - 3.0643;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4997;
100 რუბლი - 4.2559; თურქული ლირა - 0.4542;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6158;
1000 სომხური დრამი - 5.7217.

ამინდი 22 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+24
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+25
თბილისი:	ღამე	+15,	დღე	+26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge